

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნანა ალექსანდრია— საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისი. მთავრობის სახლი.

# 1921 1967

10.385

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანები და ენერგიები

ფოტო დ. იაკობიშვილისა



ელენე კირკესალი

მაღლობზე აღმართული სახლი თავისუფალ სივრცისაკენ მიისწრაფვის ,,ფიზიკის ინსტიტუტი" აწერია შესასვლელთან. ამ სახლიდან მოსჩანს ხმაურიანი ქალაქის პანორამა.

ამ სახლში მომუშავე ადამიანებში ერთნაირად იგრძნობა როგორც მეცნიერული ისე პოეტური სამყარო. აქ ძნელია იმის თქმა, სად თავდება პოეზია და სად იწყება მეცნიერება. უეჭველად გაგახსენდებათ მეცნიერთა ხუმრობა — თანამედროვე ფიზიკა პიკასოს ფიზიკაა.

აქ ადამიანის გონება ხსნის ხილულ თუ უხილავ სამყაროს საიდუმლოებებს, ბუნების კანონებს აიძულებს იმოქმედოს განსაზღვრული მიზნებისათვის. კაცობრიობის საკეთილდღეოდ იღწვიან მეცნიერები, არ იშურებენ ენერგიას. მაგონდება მენდელეევს რომ ჰკითხეს: ,,როგორ მოგივიდათ, დიმიტრი ივანეს ძევ, თავში თქვენი პერიოდული სისტემა?" — მან უპასუხა: ,,შეიძლება ითქვას, მასზე ოცი წელი ვფიქრობ, მაგრამ გგონია, ვიჯექი და უცებ... მზადაა?"

რაც დრო გადის, ცივილიზებული საზოგადოებისათვის განუწყვეტლივ იზრდება მოთხოვნილება ენერგიაზე. ხოლო ენერგიის ყველა წყარო როდია ტოლფასი. ერთნი მხოლოდ პრინციპულ ინტერესს იწვევენ, მეორენი ცივილიზაციის არსებობას უკავშირდებიან. ერთნი პრაქტიკულად ამოუწურავნი არიან, მეორენი გამოილევიან უახლოესი ათეული თუ ასეული წლების შემდეგ.

...კოსმოსური სხივებისა და მაღალი ენერგიების განყოფილება. ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნინო როინიშვილი გვაცნობს, თუ როგორ იკვლევენ ლაბორატორიის მუშაკები კოსმოსურ გამოსხივებაში შემავალი მაღალი ენერგიის მქონე ნაწილაკების ატომის ბირთვებთან ურთიერთქმედებას. სწორედ ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთქმედებითაა განპირობებული ენერგიის კოლოსალური მარაგი.

უკეთ რომ გამოვიყენოთ ატომური ენეოგიის მარაგი, კიდევ უფრო რომ ,,მოვიშინაუროთ" იგი, დიდ შრომას ეწევიან ამ მიზნით მეცნიერები.

ატომური ენერგიია გაოოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება, თუ როგორ მოქმედებს გამოსხივება მთელ რიგ ქიმიურ ნივთიერებებზე. სწორედ ამ საკითხზე გვესაუბრება დოცენტი თეა ცეცხლაძე, გვაცნობს რა უახლოეს პრობლემებზე მუშაობენ ლაბორატორიის მუშაკები; ყველა მათი პრობლემები ბირთვულ გარდაქმნებით განპირობებულ ქიმიურ რეაქციებს უკავშირდება.

რაც დრო გადის, უფრო მრავალწახნაგოვანი ხდება ყოველი დღე ჩვენი ცხოვრებისა. სულ უფრო ძვირფასია დრო ადამიანისათვის. ვუსმენ ელენე კირკესალს: იმისათვის, რომ დაადგი-



ნინო როინიშვილი

ნონ მადანში მანგანუმის, ფოსფორის, გოგირდის ან სილიციუმის რაოდენობა, ქიმიურ ანალიზს ოთხი საათი სჭირდება, ნეიტრონულ აქტივაციურ ანალიზს კი ათი წუთი.

თუ როგორ შესძლეს ადამიანებმა ანალიზის დროის ოცჯერ და უფრო მეტად შემცირება, ამაზე მოკლედ გვიამბობს ელენე. ნეიტრონებით ბომბარდირებისას მადანში შემავალი ნივთიერებანი თითონვე ხდებიან რადიოაქტიურონი, რომელთა გამოსხივების ხასიათისა და ენერგიის მიხედვით დგინდება ფოსფორის, გოგირდის თუ სილიციუმის პროცენტული რაოდენობა მადანში.

ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების, ფიზიკისა და ბიოლოგიის მჭიდრო კავშირზე გვესაუბრება ნანული ბაღდავაძე: ამა თუ იმ ლითონთა მიკრორაოდენობა ცოცხალ ორგანიზმში გარკვეულ პროპორციაშია. ამ პროპორციის დადგენას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი რიგი დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის. ქიმიური ანალიზი არ გამოდგება არასიზუსტისა და დიდი დროის საჭიროების გამო. გარდა ამისა, ცოცხალ ორგანიზმში ძალიან მცირეა ლითონთა პროცენტული რაოდენობა და ამიტომ ქიმიური ანალიზი სისხლის დიდ რაოდენობას მოითხოვს.

კვლევის რაციონალურ მეთოდს, რომელიც შეიმუშავეს ლაბორატორიაში, დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალში ნორმალურად მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების კონტროლისათვის. ლითონთა პროცენტული რაოდენობის დადგენა პრაქტიკულად შემდეგნაირად ხორციელდება: იღებენ დონორის სისხლს, ცოცხალ უჯრედს ან ქსოვილს. მათში შემავალი ლითონები დასხივებით ხდებიან რადიოაქტიურნი და ასხივებენ სპეციალური მთვლელები ადგენენ გამოსხივებული ნაწილაკების რაოდენობას. შემდგომ ამყარებენ თანაფარდობას გამოსხივებულ ნაწილაკებსა და ორგანიზმში არსებულ ლითონთა საერთო პროცენტულ რაოდენობას შორის.

რადგან ლითონთა რაოდენობის ნორმის დარღვევა ორგანიზმის პათოლოგიურ ცვლილებებთანაა დაკავშირებული, მოსალოდნელია, რომ არც ისე შორეულ მომავალში მედიცინას დიდ სამსახურს გაუწევს ორგანიზმზე დაკვირვების ეს მეთოდი.

...იღწვიან ადამიანები. მზის წითელი დისკო ლურჯ ცაზე რუხი მთებისკენ ნელა იხრება, დგება ჟამი, როცა ისინი სტოვებენ შენობას დროებით, რომ ხვალ კვლავ ახალი ენერგიით დაუბრუნდნენ ლაბორატორიებს.

მიხეილ გოგუაძე

თეა ცეცხლაძე და უფროსი ინჟინერი გ. დოლიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოდერძი ჭეიშვილი

# სიცოცხლის სიმფონია

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი დ. კ ა ხ ი

...ტელეფონის ზარი წკრიალს განაგრძობს.

მე, აჩქარებული, ხან ერთი ხელით ვიზილავ მკერდსა და მკლავებს, ხან მეორეთი... მერე სწრაფად ვიმშრალებ, ოთახში გამოვდივარ და ყურმილს ვიღებ.

— ოთარ მხეიძე მინდოდა, — მესმის ქალის მორიდებული, მაგრამ საოცრად ბოხი და უხეში ხმა.

— მე გახლავართ.

— ააა, თქვენ ბრძანდებით?

— დიახ.

— გამარჯობათ, ბატონო ოთარ!

ქალის ასეთი მამაკაცური ხმა ჩემს სიცოცხლეში პირველად მესმის.

— გაგიმარჯოთ! ვინ ბრძანდებით?

— თქვენთან მოსალაპარაკებელი მქონდა...

— მოსალაპარაკებელი? სიამოვნებით, მობრძანდით...

— იცით...

— გნებავთ სადმე შეგხვდებით, — უხერხულობიდან გამომყავს.

— ასე აჯობებს, დაგელოდებით! — გახარებული მომიგებს.

— სად?

— აქვე, თქვენს სახლთან, — ქალი ყრუდ იცინის. ღმერთო ჩემო! სიცილის დროს როგორ უცებ შეეცვალა ხმა. მაგრამ იქნებ რომელიმე გამვლელი იყო და არა ის?

— მაინც ვინ ბრძანდებით?

— მე? მე... — ისევ ბოხი ხმით განაგრძობს, — ვერ მიცანით?

— ვერა, ვერ გიცანით!

— აბა, მომისმინეთ: „და შენ რომ მოგცა ჩემი სული, ლაღო ფრინველო, ო, რა სიხარულს, რა სიხარულს იგრძნობდი მაშინ!!!“

-- მაია?!

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, — კისკისებს მაია.

— მაია! — ვყვირი მთელი ხმით, — როდის ჩამოხვედი, მაია?

— ერთი საათის წინ, ოთარ!

— აკი ორშაბათს უნდა დაბრუნებულიყავი, წერილში ასე არ მწერდი?

— გადმოვფრინდი კიევიდან, ოთარ!

— ჩემო ლალო ფრინველო! ახლა საიდან მელაპარაკები?

— აქა ვარ, ქვემოთ!

— ყურმილი დაკიდე, მოვდივარ!..

* * *

იგი გასტრონომიული მაღაზიის შესასვლელში დგას. პირველად მისი ნუშის თვალები დავინახე, თეთრი კბილები და შხვართალა ტანი. მზის სათვალე ხელში უჭირავს. თითქოს ოდნავ გამხდარა კიდეც, შოკოლადისფრად მოკიდებია მზე.

...ფერადი ყვავილებით მოხატულ ფართო, თვალუწვდენ მინდორში მარტო იდგა იგი ბზის პატარა ხის ჩრდილში და ვიღაცას ელოდა. ფეხაკრეფით მივუახლოვდი, მოვეხვიე და წავჩურჩულე:

— ჩემი ლამაზი, ლაღი ფრინველი.

— ოთარ! — იღიმება მაია. მერე აქეთ-იქით იხედება და დარცხვენილი ამბობს:

— უხერხულია ოთარ...

ხელი გავუშვი და თვალებში ჩავხედე.

— როგორა ხარ, მაია?

— კარგად, ოთარ.

საოცარი გაღიმება იცის! ყოველთვის, როცა მის ღიმილს ვუცქერი, გული მიფრთხიალებს ხოლმე.

ხელს ვკიდებ და ქუჩას ჩრდილ-ჩრდილ მივყვებით.

— ნამდვილი მსახიობი ხარ, მაია!

— ნამდვილი, თუ...

— ასე მაინც როგორ გამოიცვალე ხმა!

— ხომ კარგად გამოვიცვალე? აკი ვერ მიცანი!

— კარგი იყო, — მხარზე ხელს ვადებ და მოკლედ შეკრეჭილი თმის კულულებს ვეალერსები.

— რაღაცნაირად მინდოდა შენთან შეხვედრა, ოთარ, სხვანაირად არაფერი იფიქრო, — მეუბნება და სასტუმროს მშენებლობისაკენ იხედება.

— რამდენი სართულია?

— უკვე მეცხრამეტე სართულზე მუშაობენ.

— ჩემს იქ ყოფნაში ერთი სართული მიუმატებიათ.

— შენ ოცი დღის წინ გაემგზავრე, არა?

— არა, ოცდაოთხი დღეა...

— ჰო, ოცდაოთხი.

ქუჩას ვჭრით და მეორე მხარეს განვაგრძობთ გზას.

ერთ ხანს ვდუმვართ... თუმცა, ადამიანი ხომ არასოდეს დუმს. იგი მაშინაც საუბრობს, წუხს ან მღერის, როცა ჩუმადაა. მაია თითებზე მიჭერს ხელს და მეკითხება:

— ძალიან მოგენატრე, ოთარ?

— ვინ გითხრა!

— ჰა, ჰა, ჰა, შენი თითები მეუბნება!

— ვინ გითხრა, მომენატრეო! — ვიცინი მე, — ტურისტო, შენ ეს მითხარი, ვარშავა უფრო მოგეწონა, თუ პრაღა?

— ორივე კარგია. ცოტა ნელა ვიაროთ, ვინმე იფიქრებს, ფეთიანები არიანო.

— იფიქრებს და იფიქროს მერე.

— ცოტა ნელა, სულ ცოტა... იცი, ოთარ?

— რა?

— პრაღაშიაც ასეა.

— რა არის ასე?

— გაზონებში, ჭადრებში უამრავი ჩიტები.

— მართლა?

— ჰო.

წიგნების მაღაზიას გავუსწორდით. ვიტრინაში წიგნად გამოცემული კლავირებია გამოფენილი.

— ოთარ, სიმფონია ხომ არ დაგიმთავრებია?

— მალე დავამთავრებ.

— მე სულ ვფიქრობდი...

— დიდი მადლობელი ვარ.

— არაფრის, პოზიორო!

— მე ვარ პოზიორი?

— პოზიორი ხარ! გახსოვს, იმ დღეს სადგურში რომ მაცილებდი? „კარგად გნახეთ ქალბატონო, მაია“... ვითომ ეს რა იყო?

— შენთან განმარტოვება მინდოდა, ვერ მოვახერხე და გუნება გამიფუჭდა. გეწყინა?

— ისე, ცოტათი...

— ჩემი ლაღი ფრინველი.

— ფრთები რომ არ მაქვს?

— მე ვგრძნობ, რომ გაქვს და ფრენაც შეგიძლია.

— მარტო ფრენა არ შემიძლია.

— ჩემთან ერთად... ახლა რომ დრო მქონდეს, აგერ იმ გორაზე ავიდოდით.

— რომელ გორაზე?

— აგერ, იმ გორაზე, ჰიპოდრომის მარცხნივ რომ არის.

— იქ რა გვინდა?

— იმ გორაზე ჯერ არავინ ასულა.

— როგორ?

— როგორ და... თბილისის თითქმის ყველა ადგილი შესულია ლიტერატურასა და მხატვრობაში იმ გორის გარდა. ის გორა ახალია.

— ჰოო. მე კი მეგონა რაღაცას...

— ვბოდავდი?

— კი არ ბოდავდი... რანაირი ხარ, ოთარ!

— არ გაინტერესებს სიახლის სიჩუმე?

— როგორია სიახლის სიჩუმე?

— აი, ისეთი, როგორიც იმ გორაზე იქნება. არ გინდა იგრძნო?

— უცნაურად ლაპარაკობ, ოთარ.

— რატომ უცნაურად?!

— ერთი გერმანელი ტურისტი იყო ჩვენთან...

— მერე?

— მგონი, მწერალი იყო.

— მერე, რაო?

— ეგზისტენციალიზმს სცემდა თაყვანს, ამტკიცებდა...

— გერმანელები ერთ დროს სხვა რამესაც ამტკიცებდნენ!

— თავგამოდებული ამტკიცებდა, ახალი და დიდებული ნაკადიაო.

— ყოველგვარი ახალი ხომ კარგი არ არის, მაია!

— მეც ასე ვფიქრობ.

— ხელოვნების დანიშნულება, რაც არ უნდა თქვან, მაინც ესაა: ადამიანს სიცოცხლე შეაყვაროს, გმირული სული შთაბეროს...

— რა თქმა უნდა!

— ჩემი ლაღი ფრინველი! — მხარზე ისევ ვხვევ ხელს, — სიახლის სიჩუმე კი სულ სხვაა. საღამოს ავიდეთ იმ გორაზე.

— კარგი, ოთარ. — მეუბნება მაია, — ჩვენზე, მგონი, ნაწყენი დარჩა.

— ვინ?

— წეღან რომ გელაპარაკებოდი, ის ტურისტი.

— მაინც რა აწყენინეთ?

— მე არაფერი, მერი მოეწონა...

— ჩვენი მერი?! მართლა, სულ დამავიწყდა, რომ მეკითხა, მერიც ჩამოვიდა?

— არა, კიევში დარჩა, დედის ნათესავებთან.

— ჰო, მერე, მერე, მოეწონაო!

— ჰო... პირველად ვითომ ეხუმრებოდა, მერე კი გერმანიაში დარჩენა შესთავაზა.

— მერიმ რაღა უპასუხა?

— მერიმ უპასუხა: ჯერ ერთი, მე თქვენი ენა არ ვიცით, მეორეც...

— ჰა, ჰა, ჰა, მერე და როგორ დამთავრდა ეს ამბავი? გული დაწყდებოდა იმ ტურისტს, არა?

— ძალიან... აღარ მოუშვა და მერიმ უთხრა, საქმრო მყავსო.

— თავიდანვე რომ ეთქვა, ჯობდა, წარმომიდგენია, როგორ დაწყდებოდა გული.

— თავიდან ეხუმრებოდა, ეგონა.

ფარდულთან ვჩერდები და მაიას ვეუბნები:

— ბორჯომს არ დალევ?

— არა, არ მინდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი ჭიქა რა დიდი ამბავია!

ბორჯომს ვსვამთ და გზას განვაგრძობთ.

— თქვენთან, სკოლაში რა ამბავია? — მეკითხება მერე.

—მშვიდობა, გუშინ მეცადინეობას შევუდექით.

მაია იცინის და მკერდით მეყრდნობა.

— რატომ იცინი?!

— უცნაური შედარებები იცი ხოლმე, ოთარ, შენ უფრო პოეტი ხარ.

— ყველა მუსიკოსი თავისებურად პოეტია.

— პრაღაში მომაგონდა, კინაღამ სიცილით მოვკვდი...

— რა მოგაგონდა?...

— აი, ის... როგორ თქვი იმაზე?

— ვისზე?

— თქვენს დირექტორზე რომ თქვი.

— ჰოო.

— მომაგონდა! — იცინის მაია, — „გზის პირას ჩასაფრებული ვეფხვი!“ ჰა, ჰა, ჰა, გადასარევი შედარებაა, მეც შემხვედრია ასეთი ტიპი...

— აბა, წინა ხარ!

— მოიცა, მოიცა! როცა გაბრაზდება ხოლმე, მაშინ ჰგავს, არა?

მე თავს ვუქნევ და მივუგებ:

— მეცოდება.

— რატომ?

— ასეთი რომ არის.

— მერე-და ნუ იქნება ასეთი.

— ეეჰ, ჩამოყალიბებული ატავისტია, — ვპასუხობ მე, — წინააღმდეგობას ვერ იტანს, გიჟდება.

— მაინც რაზე გიჟდება?

— ჩვეულებრივ საკითხზე. ვთქვათ და, რაიმე აზრი გამოთქვა სწავლების მეთოდის შესახებ, მე კი როგორც მოადგილემ, შემოქმედებითად დავასაბუთე უკეთესი ვარიანტი, საშინლად ნერვიულობს, ცოფდება.

— ჰმ!

— ცუდი კაცი მაინც არ არის!

— შენ ასე გგონია?

— ალბათ სიბრალულის გამო მეჩვენება.

— სისუსტეა!

— ჩემი თუ მისი?

— რა თქმა უნდა, შენი.

— არ ვიცი... ამ ერთი კვირის წინ მთელი ამბები იყო.

— რა ამბები? — დაუოკებელი ინტერესი და ჟინი ეხატება თვალებში.

— ისეთი არაფერია.

— მაინც მითხარი რა, ოთარ!

— ჩვეულებრივი ამბავია, — ვეუბნები მე, — მოდი, სკამზე ჩამოვჯდეთ.

— ჩამოვჯდეთ.

ტროტუარიდან გადავდივართ და სპორტის სასახლის წინ სკამზე ვსხდებით.

— მე არც ძველი ამბავი ვიცი და არც ახალი, არასოდეს მომითხრობდი, ძალიან კი მაინტერესებს.

— მსახიობისათვის გამოსადეგი დეტალია, არა?

— ოოო, ეგ რა შუაშია! უბრალოდ მაინტერესებს, — მეუბნება მაია, მერე ყვედრებით განაგრძობს, — შენ მხოლოდ ერთხელ მითხარი, კამათი მოგვივიდა, ცუდად შეიქნა და სასწრაფო დახმარების გამოძახება გახდა საჭიროო.

— ჰო, გულით ავადმყოფია, ამიტომაც ვერიდებოდი ხოლმე.

— ხომ არ იგონებდა?

— არა, რას ამბობ! ნაყინს არ შეჭამ?

გამყიდველს ორ ნაყინს ვართმევ, ერთს მაიას ვაწვდი.

— მერე? —მეკითხება მაია.

— რა მერე! — მეცინება მე, — ექვსი თვეა, რაც ერთად ვმუშაობთ და სულ ცდილობდა თავისი ძალა ეგრძნობინებინა ჩემთვის; წარმოიდგინე, კაცი ღმერთის ინსტიქტებით! მე კი, ჩვეულებრივად ვთვლიდი და ამას ვერ იტანდა.

— რატომ არიან ზოგიერთები ასეთები? — დაფიქრებით, თითქოს თავისთვის ამბობს მაია.

— იმიტომ, რომ არ იციან, როგორი იყვნენ!

მაია ხმას არ იღებს. ერთ ხანს დაფიქრებული ზის.

— ჰო, მართალია, — ამბობს მერე.

— იცი, ერთხელ რა უკისრია?

— რაო?

— ახლახან შემთხვევით გავიგე ეს ამბავი.

— რა ამბავი?

— ლევან ხერხეულიძეს ხომ იცნობ?

— ვიცნობ.

— ისიც იცი, ამ კაცს თუ როგორ პატივს ვცემ.

— ჰო, მერე?

— თითქოს იმაზე მეთქვას: უნიჭო კომპოზიტორია, ვერც თეორიაში ერკვევა და გავათავისუფლოთო, წარმოგიდგენია?

— შანტაჟი მოუწყვია!

— ეეჰ, — ვამბობ ხელის ჩაქნევით — არ ღირს ამ ამბებზე ლაპარაკი. ფიქრიც კი უხერხულად მეჩვენება, თითქოს როგორღაც ვქუცმაცდები...

— ალბათ შენს უპირატესობას გრძნობდა...

— კარგი, ერთი! — ვაწყვეტინებ მე და ნაყინს ვკბეჩავ.

— თავს ნუ იდებ, ნამდვილად ასეა!

— გულით ავადმყოფია, თორემ არაფრით არ დავუთმობდი... ეს ერთი კვირაა მასწავლებლად გადავედი, თეორიას ვასწავლი.

— მასწავლებლად?!

— ჰო, გუშინ გაკვეთილები ჩავატარე.

როგორღაც გაკვირვებული მიცქერის.

— რაო, გეწყინა?

სახეზე სინანულნარევი სიბრალული ეხატება.

— შუბლი რატომ შეიჭმუხნე?

— იმ კაცზე დავფიქრდი, — მეუბნება და ნაყინის ჭამას განაგრძობს. ბაგეზე თეთრი სითხე აჩნდება, ენით იშორებს და მიღიმის.

— მგონი, სწორად მოვიქეცი! — ნაყინის ჯოხს ქაღალდს ვახვევ და რკინის ყუთში ვაგდებ. — რომ არ დამეთმო, ვინ იცის, რა მოხდებოდა. მოიტა, ურნაში ჩავაგდებ.

— მე თვითონ.

— მაია, მე სხვანაირად არ შემეძლო! რა დავკარგე? — არაფერი! ორი საათიდან თავისუფალი ვარ და ამ დღეებში სიმფონიასაც დავამთავრებ.

— კარგად მოქცეულხარ, ოთარ!

— რა უნდა მექნა... მაგრამ იცი, გული რაზე მწყდება?

— რაზე?

— ჩვენ მაინც ცხოვრებაში საკუთარს ვეძებთ.

— ეს რა გულდასაწყვეტია! ცხოვრებაც ხომ სწორედ ესაა.

— კი მაგრამ, მე რომ მეორე ინტერესი არ მქონოდა, ჩემთვის უფრო დიდი და მნიშვნელოვანი?

— მაინტერესებს, რას იზამდი, — მაწყვეტინებს მაია, — მაგრამ ამაზე წინასწარ ფიქრი რა საჭიროა!

— ჩემი ჭკვიანი, ლაღი ფრინველი, — ვუღიმი მე.

— რაც შენ გააკეთე, გმირობას უდრის. ეს იგივეა, მძიმედ დაჭრილი რომ ბრძოლის ველიდან გამოგეყვანა. მაგრამ მიხვდება კი?

— საოცრად დატკბა, შეიცვალა...

— გზის პირას ჩასაფრებული ვეფხვი, ჰა, ჰა, ჰა, — კისკისებს მაია. აქ რომ გამახსენდა, იმდენი ვიცინე...

— აუჰ, თორმეტის ნახევარი გამხდარა, უნდა წავიდე! თხუთმეტ წუთში გაკვეთილი მეწყება.

— წადი, ოთარ!

— საღამოს გორაზე ავიდეთ, კარგი?

— კარგი.

—მაშინ სიჩუმე უფრო საგრძნობი იქნება.

— სიახლის სიჩუმე, — ამბობს მაია.

— შენ სახლში ახვალ, არა?

— ჰო, ოთარ!

— ჩემი ლაღი ფრინველი!

ხუთწლედი მოქმედებაში

# ხარაგაულის მინდვრებში


ადმინისტრაციული შენობა

ფოტო შ. კუკულავასი


მეფრინველე ქ. ქუძიძე

რეპორტაჟი

შორს დარჩა ადმინისტრაციული ..ახლის ლაზათიანი შენობაც და თმადავარცხნილი სკვერიც. საურმე გზას გავუყევი და ვაშლის ტევრს მივეცი თავი. შემოდგომის ხალისდაკარგული მზე უხუნებოდ ხალვათობდა დამკრახულ ფოთლებში. ეს ეს არის დაებერტყათ მადლიანი კალთები კეხურებს და მზეს ეფიცხებოდნენ. რიგებს შორის წყლის თეთრი ზოლი გაწოლილიყო და სვენებ-სვენებით მიცოცავდა წინ. მოურიდებლად ავუყევი ქაფმორეულ წყალწვრილს და ბარმომარჯვებულ კაცს წავადექი, სატერფულს დაყრდნობოდა და რაღაცას ფიქრობდა.

— გამარჯობა შენი.

— იცოცხლე, გაგიმარჯოს.

— ახლა რწყვა იქნება?

ჩაეღიმა, ბარის ტარი შეათამაშა, თავით-ფეხებამდე შემავლო თვალი.

— ტირიფონის ველი ფიცხია, ზამთარ-ზაფხულ რწყვა უნდა!

— ი გოგონა რაღას დაეძებს მიწაში?

— ვინა, რეგანა? ეგ ჩვენი მეურნეობის აგროქიმიური ლაბორატორიის გამგეა, ნიადაგის სტრუქტურას იკვლევს.

— გამოუდის საქმე?

— მაშ... თუმცა ეგ ვანო აბაიაძეს ჰკითხეთ.

— ვანო?

— ჰო, ჩვენი მეურნეობის დირექტორს.

— სად ვნახავ? — ისე, სხვათა შორის ვიკითხე.

— სად ციპოვნი-თქო, ასე სჯობს, — გამისწორა მოსაუბრემ, — მეცხრე საათი დაიწყო... გვიანია, მგონი, მინდორში იქნება.

მერე თავის საქმეს მიუბრუნდა, ჭანგამორეული გალესილი ბელტი გადააბრუნა ღონივრად. სატევარივით ალაპლაპდა წამით ბარის პირი და ისევ მსუბუქად ჩასრიალდა გამხმარ მიწაში. ქალიშვილისაკენ გადავინაცვლე.

— რა სასუქი დასჭირდება ამ ნიადაგს? — ვიკითხე მოურიდებლად.

წყნარად ასწია თავი. ჯერ ერთი ბლუჯა თვალთა ნაკვერცხალი მომაყარა, მერე მიწით გათხუპნული თითები მოიფშვნიტა.



მეურნეობის მუშა მ. წკრიალაშვილი

— დილა მშვიდობისა!

ვცადე საქმის გამოსწორება:

— გამარჯობათ, მაპატიეთ.

იგი წყნარად მიხსნიდა მიწის საიდუმლოს, სასუქების შეტანის ტექნოლოგიას, მიხსნიდა უბრალოდ, გასაგებად, გატაცებით.

დავემშვიდობე. სწრაფად გადავჭერი ახლადგაშენებული ბაღი, რომელიც მსხმოიარეს გაგრძელებაზე გაეშენებინათ. თავისი გაეტანა სიჭაბუკეს. ისევე შერჩენოდა გაზაფხულის შნო და ლაზათი სიყვითლეში შესულ ხეხილს. პატარა, ტანმორჩილმა ტრაქტორმა ჩამიჩბინა, ხმამაღლა შევძახე გამურულ ტრაქტორისტს:

— დილა მშვიდობისა!

ტრაქტორისტმა მარჯვენა ხელი ასწია და თეთრი კბილები გამოაჩინა.

* * *

მეურნეობის ადმინისტრაციული სახლი თაფლის სკას ჰგავდა საოცრად. ძლივს გავიკვლიე გზა და, როგორც იყო, მივაღწიე დირექტორამდე. შუბლდაღარული კაცი ისმენდა, ლაპარაკობდა, მითითებებს იძლეოდა, ბრაზობდა, ტკბებოდა.

ჩემთვისაც მოიცალა.

— რამდენ სოფელს აერთიანებს ხურვალეთის საბჭოთა მეურნეობა?

— რვას: ზემო და ქვემო შავშვებს, ნაწრეტს, ნადარბაზევს, წითელ უბანს, ახალ ხურვალეთს, დიდსა და პატარა ხურვალეთს.

მან მიამბო: სოფელში 870 კომლი ცხოვრობს. მეურნეობაში 1370 მუშა ჰყავს, მათ შორის 670 ქალია. მეურნეობა 1957 წელს შეიქმნა,ააშენეს საშუალო სკოლა 450 ბავშვისათვის, მეურნეობის ადმინისტრაციული სახლი სხდომათა დარბაზით, პურის საცხობი, სასადილო-მაღაზია, მექანიზაციის შესანახი ფარდულები და სახელოსნო, მინერალური სასუქებისა და მარცვლეულის საწყობები 8.000 ტონის ტევადობით, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, კინო, საბავშვო ბაღი....

ამჟამად შენდება რვაბინიანი საცხოვრებელი სახლი, საბავშვო ბაღი, დაწყებითი ტიპის სკოლა, ოთხი ბოსელი... ყველა სოფელში გაკეთდა ან კეთდება რადიოს და ელგაყვანილობის ახალი ხაზები.

ცხადია, ცუდად არ უმუშავიათ ხურვალეთლებს. საკმაოდ ბევრი გაუკეთებიათ. ფაქტიურად ხომ ხურვალეთს დანარჩენი სოფლები 1961 წელს შეუერთდნენ. მარტო შარშან მეურნეობამ შაქრის ჭარხლიდან 18.000 მანეთის მოგება მიიღო. გადაჭარბებით შესრულდა ბოსტნეულის, მარცვლეულის, საუფრის ჭარხლის, ხორცის, კვერცხის დამზადების დავალება. ხალხმა იშრომა და შრომა დაუფასდა. მატერიალური დაინტერესების პრინციპი ახალ სტიმულს იძლევა.

სიტყვა № 2 უბანზე ჩამოვარდა, რომელსაც კომუნისტი ლავრენტი ფსუტური ხელმძღვანელობს. აქ პარტიული კომიტეტის წევრი დინარა მიდელაშვილი მუშაობს. ეს უბანი ჩამორჩენილი იყო. მიზეზი ერთობ დაუჯერებელიც კი იყო. თურმე, ტრაქტორისტები ღალატობდნენ საქმეს. მიწის პირველადი დამუშავება ხომ წარმატების ქვაკუთხედია. ჰოდა, ტრაქტორისტები, რომელთა ადგილსამყოფელიც № 1 უბანშია, თავისიანებს კარგად და ხარისხიანად ემსახურებოდნენ... ეს პირველ რიგში შენიშნეს კომუნისტებმა. ყურები აუწიეს დამნაშავეთ. მოუხდათ. ახლა ეს უბანი მოწინავეა, თუმცა სიტყვებს ციფრები სჯობია. მარცვლეული ჰექტარზე 10 ცენტნერის ნაცვლად 14 ცენტნერი მიიღეს, ჭარხალი 400-ის ნაცვლად — 530 ცენტნერი, ყურძენი 26-ის ნაცვლად — 90 ცენტნერი, ბოსტნეულის დავალება 150 პროცენტითაა შესრულებული...

მუშაობით თავი ისახელა თამარ გოგინაშვილმა, 59 წლის ქალმა, რომელმაც მასზე გაპიროვნებულ 1,5 ჰექტარ ნაკვეთზე სარეკორდო მოსავალი მიიღო.

მართალია, მეურნეობა მევენახეობა-მეხილეობისაა, 1.000 ჰექტარზე ხილი აქვთ, 400-ზე ვაზი, მაგრამ, ამას უნდა დაუმატოთ 35 ჰექტარი ჭარხალი, 60 ჰექტარი ბოსტნეული, 900 სული პირუტყვი. ცოტა დროც გავა და გაზაფხულობით ვაშლის ყვავილები მთლად დაფარავენ ტირიფონის ველს, შემოდგომაზე კეხურები აილეწებიან მორცხვი ქალიშვილებივით, ბანანები შორიდან შეგაგებებენ დამათრობელ სურნელს... მზე და ოქრო ჩაიღვენთება შემოდგომაზე, ოქრო და მზე... ცოტაც და, 1967 წელში საგუბარი დამთავრდება, ალბად რწყვის პრობლემაც გადაწყდება საბოლოოდ. 1968 წელს 10.000 ცენტნერი ყურძენი მოიკრიფება. წყლით გაძღება ხახაგამომშრალი ტირიფონა. წელს 15 პროცენტით შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება და 25 პროცენტით გაიზრდება მოგება.

წამით დუმილი ჩამოვარდა.

ახლა ქალებზე მოგახსენებთ. ისინი ბევრნი არიან. აი, სულიკო ცინცაძე, მცენარეთა დაცვის აგრონომი, ხეხილის ნამდვილი მეგობარი, დაავადებისა და მავნებლების წინააღმდეგ მებრძოლი, ცისანა ხუროშვილი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი, 160 ახალგაზრდა ლენინელის მეთაური, რიგითი მუშა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიპლომანტი, აგრო-ქიმიის ლაბორატორიის გამგედ რომ უპირებენ დაწინაურებას; ლიანა აუბაშვილი, სტუდენტი, ეკონომისტ-სტატისტიკოსი; ნადეჟდა წკრიალაშვილი, ექვსი შვილის დედა; თეთრო ცალაგოვი, ხუთი გოგოსა და ერთი ბიჭის პატრონი.. კომუნისტები — ქეთინა დუდაშვილი, ნინო მჭედლიძე, შურა ჯაგაევი... ბევრნი არიან, მათზე არც წერა მოწყინდება კაცს, არც საუბარი.

მეურნეობაში 16 კაცი სპეციალური უმაღლესი განათლებითაა, 16 — საშუალო ტექნიკური განათლებით, 13 სწავლობს დაუსწრებლად. საშუალო განათლებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ვანო აბაიაძე 20 წელია მუშაობს სოფლის მეურნეობაში. პედაგოგი, აგრონომი, კომუნისტი — აი მისი მოკლე დახასიათება; პარტიული კომიტეტის მდივანს, ახალგაზრდა კაცს, მურმან ლომიძეს საკმაო გამოცდილება აქვს მიღებული; მთავარი აგრონომი რევაზ მაჩიტაძე მეურნეობის სული და გულია. და ყველა — სასხლავი უჭირავს ხელში თუ კალამი, ძროხას უვლის თუ ციფრებში იკარგება — ერთი საზომით უდგება მინდობილ საქმეს, — სინდისით.

ვემზადები წამოსასვლელად და გუნებაში ისევ ბაღებსა და ვენახებზე ვიდებ გზას. აქამდე ვერ შევნიშნე მაგიდაზე გაშლილი სიგელები და სამკერდე ნიშნები. სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის „სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ ნიშნით დაჯილდოებიათ ნადია დუდაშვილი.

— ნადია ვინ არის?

— მწველავი.

ასეთი სიგელები მიიღეს ვანო აბაიაძემ, რევაზ მაისურაძემ, თთარ ხარხელმა.



მოწინავე მწველავი ნ. დუდაშვილი

კვლავ ბაღებში მივაბიჯებთ. აქ ყველამ თავისი საქმე იცის, ყველა თავის საქმეს აკეთებს. იწამლება, მუშავდება ბაღები. ახლადჩაყრილ ვენახში გავჩერდით. დირექტორი დაიხარა და გოჯისტოლა ვაზს ძირი შემოუჩიჩქნა თითებით, მიწა გაუფხვიერა, მერე თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა:

— რქაწითელა, ჯიქანსავსე და მზეჩაბუდებული, დალოცვილი!

ბეგლარ ნოზაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მწუხარების და ზეიმის დღეებში

ფანჯრიდან ჩანს რძისფერი ცა და გატიტვლებული ხეები. ის ზის და ფანჯრიდან გაჰყურებს გზას. ეს გზა, ზოგისთვის, ალბათ ისევე ძვირფასია, როგორც მისთვის თავისი სოფლის გზა.

მაშინ შემოდგომა მოვიდა მოულოდნელად. ფოთლებმა ადრე მოასწრეს სიკვდილი. გზა ატალახდა, აიზილა. ცა გახდა ნისლიანი, სახურავებმა მოუკიდეს ყალიონებს.

აცივდა ქვაციხეში, ზემო იმერეთის სოფელში. სიცივე წამოვიდა მახლობელი რაჭის მთებიდან. ღია კარიდან უყურებდნენ ქვაციხელები, როგორ მოდიოდა მათთან მასწავლებელი.

ის მოდიოდა სვენებ-სვენებით. ჟღენტების სახლს რომ მოუახლოვდა, შეჩერდა. სულ ახლოს მთავრდებოდა ზემო იმერეთი და იწყებოდა რაჭა.

ჟღენტების ოჯახი ელოდა მასწავლებელს. იგი ოჯახის უფროსმა, დავით ჟღენტმა მოიწვია სოფლისათვის, გამოუყო შენობა, დაუნიშნა ხელფასი.

დაეწყოთ გაკვეთილები ქვაციხელ მოზარდებს. შეისწავლეს ქართული ანბანი დავითის შვილებმა: ანამ, ბესარიონმა, გიორგიმ. აქედან წაიღო ანა ჟღენტმა ქართული ენის სიყვარული ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში.

სასწავლებელში კი შეურაცხყოფდნენ ყოველივე ქართულს. იდევნებოდა ქართული ენა და ქართულად ლაპარაკისათვის დაწესებული იყო სასჯელი. ამიტომ მოსწავლე ქალიშვილებმა ერთ დღეს უარი თქვეს სწავლაზე და გაიფიცნენ. ქალიშვილებს გიმნაზიელი ვაჟები გამოეხმაურნენ. შეშინდა წმინდა ნინოს სასწავლებლის ადმინისტრაცია და მოსწავლეთა გამოსვლები უდანაშაულო ადამიანს, სასწავლებლის ინსპექტორს ღოღობერიძეს დააბრალა პროტესტის ნიშნად ღოღობერიძემ თავი მოიკლა.

ეს იყო ანასათვის დიდი გამოცდა. მაშინ იგრძნო მან უმიზნო სიკვდილის საშინელება და ადამიანის სიცოცხლის ფასი. მას უფრო გაუძლიერდა ეროვნული კულტურის სიყვარული. ამ გრძნობას აძლიერებდა ძველი ქუთაისი, გელათის დიდებული აკადემია, ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, გაზაფხულობით ადიდებული რიონი, უთვალავი ვარდის კონები და ქუთაისური საღამოები; თავშეყრა პოეტებთან, მათი ახალი ლექსები და ლიტერატურაზე საუბარი გვიანობამდე.

ეს საღამოები გაგრძელდა თბილისში, სადაც ანა უმაღლესი განათლების მისაღებად ჩამოვიდა და პროფესორ ალექსანდრე ალადაშვილის სტუდენტი გახდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პროფესორმა საფაკულტეტო თერაპიულ კლინიკაში დასტოვა იგი ჯერ ორდინატორის. შემდეგ კი ასისტენტის თანამდებობაზე. ალადაშვილი მას გადასცემდა ყველაფერს საუკეთესოს თავისი გამოცდილებიდან, აჩვევდა დამოუკიდებელ კვლევას, ზაფხულობით გზავნიდა საქართველოს რაიონებში იქ გავრცელებული სხვადასხვა დაავადებების შესასწავლად.

თითქმის მთელი საქართველო მოიარა ახალგაზრდა ექიმმა. იგი აკვირდებოდა კუჭ-ნაწლავის დაავადებათა შემთხვევებს. განსაკუთრებით აინტერესებდა ჩვენი ეროვნული, ცხარე საჭმელების გავლენა კუჭ-ნაწლავზე, აგროვებდა საინტერესო მასალებს და გარკვეულ დროს ელოდა, რომ ყველაფერი ეს მეცნიერულ შრომად ჩამოეყალიბებინა.

ამ მიზნით გაემგზავრა ის მოსკოვში 1933 წელს და პროფესორ რ. ლურიას ხელმძღვანელობით კუჭ-ნაწლავის დაავადებათა საფუძვლიან შესწავლას შეუდგა. ანა ჟღენტმა გამოიყენა საქართველოში მიღე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბული დიდი გამოცდილება კუჭ-ნაწლავზე საგემოვნო ნივთიერებათა გავლენის შესახებ და 1939 წელს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ბრწყინვალედ დაიცვა სადისერტაციო შრომა „საქართველოში ხმარებული საგემოვნო ნივთიერებათა გავლენა კუჭის სეკრეციაზე“.

საკითხები უამრავი იყო. ყველას თავისი დრო და ადგილი მიუჩინა ანამ. იგი დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა საქართველოს კურორტების სამკურნალო წყლების გავლენის შესწავლას სხვადასხვა დაავადებებზე. განსაკუთრებით დააინტერესა იგი ბორჯომის წყლის მოქმედებამ კუჭ-ნაწლავზე. ამას დასჭირდა წლების მანძილზე დაკვირვება. იგი დარწმუნდა, რომ ბორჯომის მინერალური წყალი მთელ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედებდა და ამ გზით აღწევდა შედეგს.

1950 წლიდან ანა ჟღენტი პროფესორ მიხეილ წინამძღვრიშვილის ჰოსპიტალურ-თერაპიულ კლინიკაშია ჯერ ასისტენტად, შემდეგ კათედრის გამგედ, წინამძღვრიშვილის გარდაცვალების შემდეგ კი — კლინიკის გამგედ.

წინ იყო დიდი და საინტერესო სამუშაო. ლენინგრადში, პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში აკადემიკოს ბიკოვისა და პროფესორ კურცინის ხელმძღვანელობით ანა ჟღენტმა დაამუშავა და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია — „ბორჯომის მინერალური წყლის მოქმედების მექანიზმი.“ ასე გახდა პირველი ქართველი ქალი — თერაპევტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. ასეთ დაუღალ, შემოქმედებით შრომაში დაწერა 41 სამეცნიერო ნაშრომი, მიიღო შრომის წითელი დროშის ორდენი და მედლები, მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ფუტკარივით შრომა სჭირდება ექიმს, მით უმეტეს, ექიმ-მეცნიერს, რომელსაც სურს ახალი სიტყვა სთქვას მედიცინაში, მიაგნოს მკურნალობის ახალ საშუალებებს. ამ მოთმინებით კვლევას მიეჩვია ის ახალგაზრდობიდან, როცა დადიოდა რაიონებში და ძნელ პირობებში ახერხებდა დაედგინა ანკილოსტომის ენდემიური კერები, მიეღო მათი მოსასპობი საშუალებანი, ანდა დაესვა სწორი დიაგნოზი, როცა ადამიანებს ჰქონდათ კანზე გამონაყარი, ნერვული მოვლენები, ნაწლავების აშლილობა და დაეწყო ბრძოლა პელაგრის წინააღმდეგ. ღვიძლის პარაზიტის ფასიოლა ჰეპატიკის აღმოჩენა ანა ჟღენტს ეკუთვნის.

პრობლემებზე მუშაობა გრძელდება. ახლა ანა ჟღენტი იკვლევს ღვინის გავლენას ადამიანის ორგანიზმზე. მართალია, მევენახეობა ძველი დროიდანაა საქართველოში განვითარებული, მაგრამ დღემდე შესწავლილი არ იყო ადამიანის ორგანიზმსა და მის სხვადასხვა ფუნქციებზე ღვინის მავნე თუ სასარგებლო გავლენა. ამ მხრივ საინტერესო მასალაა დაგროვილი კლინიკაში, რაც ცალკე გამოქვეყნდება.

ანა ჟღენტი მრავალი წელია შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრის გამგეა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ, სანჰიგიენურ და სტომატოლოგიურ ფაკულტეტებზე, იგი ზრდის მომავალ ექიმებს, მისი ხელმძღვანელობით დაიწერა მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

მას უყვარს სადად, მაგრამ გემოვნებით ჩაცმა, ყელზე მშვენიერი მარგალიტები, უყვარს მოგზაურობა, ყოფილა და იცნობს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეს, უცხოეთის ქვეყნებს, ბევრს მოგზაურობს, ბევრი უნახავს.

მაგრამ მაინც, ჯერ კიდევ შემოქმედებითი შრომის შუაგზაზეა. 140 საწოლია რკინიგზის საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში და ექიმიც ყოველდღე 140 სიცოცხლის გადარჩენაზე ფიქრობს. მისი შრომის დღეები სავსეა მწუხარებით და ზეიმით, რადგან მედიცინაში სასოწარკვეთილება ისევე მოსალოდნელია, როგორც გამარჯვება.

ლია კაკაბაძე



## გაბრიელ ჯაბუშანური

* * *

ჰე, საქართველოვ,
ლექსის მინდორზე
გამოველ ვინმე ყრუ და თავხედი.
ჰანგიც მიბოძე,
ეშხიც მიბოძე
და არაკაცი მგოსნად გამხადე!

სხვა ამას იქნებ ვერც გაბედავდა,
მე კი შეგცქერი, გულუხვს, ხელებში,
რადგან შენ ჩემი დიდი დედა ხარ, —
შემძლე ყოვლისა და უქველესი...



გამოვექეცი შფოთიან ქალაქს,
მწვავდნენ ეს ხევნი და ჩანჩქერები.
დღე-დღე ვიცილებ ლექსების ნალექს
და კრავებს თქვენებრ მეც ვეფერები.

თქვენებრ შევიტკბე მთები, სერები
და ამ ჩემს ნაბიჯს აღარა ვნანობ.
წაიღეთ ჩემი ხელნაწერები, —
შიგ შეახვიეთ თუთუნი, ძმანო!



მაშრიყეთში ირიჟრაჟა,
მაღრიბს კვალად ბინდი აწევს.
თალხ საჯიხვეს მთვარე—ვაჟა
მითს მოუთხრობს მინდიაზე.

დგანან კლდენი, მკერდტიტველნი,
უმწვანობას არ ჩივიან.
გაწოლილნი ქედნი—გველნი
ხოგაის ძის არჩივნია.

კრეფს საჯიხვე შუქთა ქარვებს,
ეჯახება ქარს ჯებირად.
ხევს რომ თალხი ბურავს არვე,
ნისლნია თუ ქაჯებია...

აელვარებს შუქი ტინებს
და იქ მოთქმა რომ გაისმის, —
განა მართლა ბუ ქვითინებს, —
გოდებაა ხოგაის ძის...

მაშრიყეთში ირიჟრაჟა,
მაღრიბს ისევ ბინდი აწევს.
თეთრ მწვერვალებს მთვარე — ვაჟა
მითს მოუთხრობს მინდიაზე.

# ჩემპიონი



ნანა ალექსანდრია და ბუხუტი გურგენიძე

ჭადრაკის ისტორია ორი ყაიდის კორიფეებს იცნობს. ერთთა ტალანტი მალე „ფეთქდება". ასეთი მოჭადრაკეები ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ასაკში აღწევენ დიდ წარმატებებს, თავისი შესაძლებლობის „ჭერს", მეორენი ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ მიიწევენ წინ. მაგალითებისათვის შორს ნუ წავალთ: 23 წლის მ. ტალი უკვე მსოფლიოს ჩემპიონი იყო, მის საპირისპიროდ ტ. პეტროსიანი 34 წლის ასაკში დაეუფლა უმაღლეს საჭადრაკო წოდებას. ოლღა რუბცოვა და ელისაბედ ბიკოვა ფრიად ხანდაზმულნი გახლდნენ, როდესაც დაფნის გვირგვინი მოიხვეჭეს, მათმა შემოქმედებითმა ანტიპოდმა ნონა გაფრინდაშვილმა კი მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი 21 წლისამ დაისაკუთრა. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ჭადრაკი უფრო „გაახალგაზრდავდებოდა", კერძოდ, გვეყოლებოდა 17 წლის მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი — ნანა ალექსანდრია!

1964 წელს სოხუმში, ქალთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობდა. შეჯიბრების დახურვისას სცენაზე ავიდა გულშემატკივარი ვ. სახოკია და სამ მონაწილეს გადასცა ყვავილების თაიგული შემდეგი სიტყვებით: „ერთი — მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს (ე. ბიკოვას), ერთი — საჭადრაკო გვირგვინის ახლანდელ მპყრობელს (ნ. გაფრინდაშვილს) და მესამე მსოფლიოს მომავალ ჩემპიონს (ნ. ალექსანდრიას)".

ახლა, რა თქმა უნდა, არავინ იცის, გამართლდება თუ არა ამ გულშემატკივრის სიტყვები, მაგრამ რომ ნ. ალექსანდრია უკვე „ემუქრება" თავის უფროს მეგობარს — ფაქტია. მსოფლიოს ჩემპიონობისაკენ გრძელი და ნარ-ეკლიანი გზა მიდის. ნანამ უკვე დასძლია ამ ჯებირის ორი საფეხური. საინტერესო დეტალი — ორივე საფეხური მან გაიარა კიევში, პირველი ადგილი დაიკავა ჯერ საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში, შემდეგ კი აქვე. არნახულ მძაფრ ბრძოლაში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. „მშვენიერი კიევი ბედნიერებას მანიჭებს!" — განაცხადა ჩვენმა ახალგაზრდა ჩემპიონმა შეჯიბრების დახურვისას. ამის საპასუხოდ უკრაინელმა გულშემატკივრებმა სინანული გამოთქვეს, რომ პრეტენდენტების ტურნირი მათ დედაქალაქში არ იმართება, მაშინ ნანას წინ ვერავინ დაუდგებოდაო!

როდესაც ნ. ალ-ქ'ანდრიაზე ვლაპარაკობთ, მის დიდ ნიჭთან ერთად მხედველობაში გვაქვს სატურნირო მებრძოლის არაჩვეულებრივი ღირსებები. როდესაც იგი კიევში ჩავიდა, გამოირკვა, რომ პირველ პარტიებში თბილისელ ოსტატებს ა. ჩაიკოვსკაიასა და ე. კაკაბაძეს უნდა შეხვედროდა. რა თქმა უნდა, ალა და ელისო წინააღმდეგი არ იყვნენ ყაიმით დაემთავრებინათ შეხვედრები ესოდენ აგრესიულ მოჭადრაკესთან. მაგრამ ნანა პრინციპულად არ ცნობს ყაიმებს და, ასე გასინჯეთ, მათ წაგებას ამჯობინებს. რა ვუყოთ, რომ მან ორივე ამ შეხვედრაში დამარცხება იგემა, შემდეგ ტურებში 6 რიგითი გამარჯვება იზეიმა. საერთოდ ნანამ შეჯიბრებას რაღაც განუმეორებელი ეშხი და სილამაზე მისცა. გავიხსენოთ მშვენიერი გამარჯვება ა. კისლოვასთან, დიდებული მოგება ლ. იდელჩიკთან, მოულოდნელი მანევრები ტ. მოროზოვასთან! სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. მაკოგონოვმა გვითხრა: „მე გაოცებული ვარ თქვენი თანამემამულის ნიჭით. ორი დამარცხება სტარტზე ნებისმიერ ოსტატს დაუკარგავდა ხალისს. მაგრამ ნანამ არაფერი შეიმჩნია. ეს საოცარი მოჭადრაკე უკვე ახლა უნდა მივიჩნიოთ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ოსტატად. და ეს ხდება 17 წლის ასაკში!"

საკავშირო ჩემპიონატში თამაში არავისთვის ყოფილა იოლი „გასეირნება". დიდი სიმწარე ნახა ნანამ ვ. კოზლოვსკაიასთან შეხვედრაში. საკმარისი იყო მშვენივრად ჩატარებულ პარტიაში ერთი შეცდომა, რომ ქართველმა მოჭადრაკემ (რომელსაც მანამდე მოსაგები მდგომარეობა ჰქონდა) ერთბაშად უიმედო პოზიცია მიიღო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მეორე ადგილიდან ნანამ მეოთხეზე გადაინაცვლა. ოთხი დამარცხება თორმეტ ტურში — განა ბევრი არ იყო პირველი ადგილისათვის მებრძოლისათვის! შეჯიბრების ბევრი მონაწილე ფიქრობდა, რომ ახალგაზრდა ოსტატი ვერ გაუძლებდა ესოდენ სასტიკ დარტყმას, მაგრამ საბედნიეროდ ეს ასე არ მოხდა. დასკვნითი 7 შეხვედრიდან 6 ქულა — აი შედეგი, ჭეშმარიტი ჩემპიონისათვის საკადრისი.

რა თქმა უნდა, 17 წლის ჩემპიონი „ისე ერთბაშად" არ მოვლენია ჭადრაკის სამყაროს. „არც ერთი დღე ჭადრაკის გარეშე!" — ასეთია ნანას პრინციპი. ნიჭიერი ქალიშვილი ყველაფრისათვის ნახულობს დროს. მან ოქროს მედლით დაამთავრა სკოლა და ახლა უნივერსიტეტში სწავლობს, გატაცებულია ლიტერატურით, ხელოვნებით, სპორტით, „მე გაოცებული ვარ ესოდენ ნორჩი ოსტატის გონიერებითა და ზოგადი განათლებით". — გვითხრა გამოჩენილმა გერმანელმა მოჭადრაკემ და ჟურნალისტმა ედიტ კელერ-გერმანმა, რომელმაც ჩვენს სახელოვან მწვრთნელს ვახტანგ ქარსელაძეს საგანგებოდ მიულოცა „საჭადრაკო საოცრების" აღმოჩენა. სიკვდილმა გამოგვტაცა ხელიდან შესანიშნავი მამულიშვილი ვახტანგ ქარსელაძე, რომელიც ვერ გახდა ნანას დიდი ტრიუმფის მომსწრე, ის ვახტანგ ქარსელაძე, რომელიც 7 წლის განმავლობაში გზას უკაფავდა ჩვენს ჩემპიონს, ისეთივე თანმიმდევრობითა და მგზნებარებით, როგორც ადრე წარმართავდა ნონა გაფრინდაშვილის დაოსტატებას. ჩვენ გვახსოვს ვ. ქარსელაძის დაჟინებითი მტკიცება, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ სწორედ მისი ორი მოწაფე მიუჯდებოდა თბილისში საჭადრაკო დაფას იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რომელი ქართველი ოსტატია უძლიერესი მსოფლიოში! შესაძლოა ასეთი მტკიცება მაშინ ცოტა არ იყოს, „უტოპიური" ჩანდა, მაგრამ დღეისათვის იგი საკმარისად დასაბუთებულია. საკავშირო ჩემპიონატის საზეიმო დახურვაზე მთავარმა მსაჯმა კირა ზვორიკინამ გამოთქვა აზრი, რომ „მსოფლიოს ჩემპიონობა, ეტყობა, საქართველოს შინაური საქმე გახდებაო".

ნანასათვის ოქროს მედლის გადასაცემად მოსკოვიდან კიევში ჩამოვიდა ჭადრაკის საკავშირო ფედერაციის სპეციალური წარმომადგენელი — იაკობ როხლინი, რომელმაც ახალ ჩემპიონს შემდეგი განუცხადა: „მე დიდ პატივს ვცემ მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეს — ნონა გაფრინდაშვილს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მას ამიერიდან ახალი, მძიმე სამუშაო გაუჩნდება!"

ეს ყველაფერი, შესაძლოა, ასეა, მაგრამ ნონასა და ნანას მატჩამდე ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის. ნანამ ჯერ კიდევ უნდა მოიპოვოს ეს უფლება. ის 17 გამოჩენილი ოსტატი, რომლებიც სექტემბერში თავს მოიყრიან იუგოსლავიაში, სულ სხვანაირად ფიქრობენ. ტატიანა ზატულოვსკაიას ქომაგები მიიჩნევენ (შესაძლოა, სრულიად სამართლიანადაც!), რომ 1965 წელს რიგაში სწორედ ის უნდა შებრძოლებოდა ნონა გაფრინდაშვილს. ბაქოელი ოსტატი დიდხანს მიაჩნდათ „სამყაროს № 2 მოჭადრაკედ". — ახლა, როდესაც მან მესამე ადგილი დაიკავა კიევში, რა თქმა უნდა, ძნელია ასეთი წოდების შენარჩუნება. ალა კუშნირი ზატულოვსკაიას არ ჩამორჩება. „რა ვუყოთ, რომ დანებება მომიხდა რიგაში, — ამბობს იგი, — რა მიშლის 1968 წელს ერთხელ კიდევ შევებრძოლო ნონას!" კუშნირი არა მარტო თვალსაჩინო ნიჭის, არამედ იშვიათი შეუპოვრობის მოჭადრაკეცაა. ნუ დავივიწყებთ მას! ახლა ლაზარევიჩი, ახლა ნიკოლაუ, ახლა კოზლოვსკაია!

ნანას მშვენივრად აქვს შეგნებული, თუ როგორი ძალის ოსტატებთან მოუხდება ბრძოლა. იგი და მწვრთნელი, ოსტატი ბუხუტი გურგენიძე სპეციალური გეგმის თანახმად მოემზადებიან შეჯიბრებისათვის. წინაა მრავალი მძიმე ამოცანა, მეტოქეთა პარტიების შესწავლა, საკუთარი თამაშის დახვეწა.

ოპტიმიზმი — აი ჩვენი ჩემპიონის მშვენიერი თვისება და ასევე ოპტიმისტურად იქნებიან განწყობილი გულშემატკივრებიც, როდესაც იუგოსლავიაში ბრძოლას დაიწყებს მათი საამაყო ნანა ალექსანდრია!

**გ. ფავლენიშვილი**



„სამანიშვილის დედინაცვალი" —

# ასია დათებაშვილი

ქ. თბილისის ქალთა მესამე გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ასია დათებაშვილის მისწრაფებამ მკვეთრად იჩინა თავი. სკოლასა თუ ოჯახში, სტუმრად თუ ამხანაგებში, ყოველთვის მხიარულმა, სიმღერის განსაკუთრებულმა მოყვარულმა ასიამ, ახლობლების დახმარებით თბილისის ხელოსანთა კრთ-ერთ კლუბში დაიწყო მუშაობა. ამ კლუბში იდგმებოდა ოპერეტები. იმდენად დიდი იყო ქალიშვილის ლტოლვა სცენისკენ, რომ იგი არ მოერიდა მისთვის უცნობ ენებზე როლების შესრულებას; რა თქმა უნდა, ამ ნაბიჯის წარმატებით გადადგმა განაპირობა მისმა კარგმა ვოკალურმა მონაცემებმა. კარგი მუსიკალური სმენის წყალობით, ასია იოლად და ოსტატურად იზეპირებდა სიტყვებს და იმდენად უზადოდ წარმოთქვამდა, რომ ძნელად თუ ვინმე დაიჯერებდა — ეს ენა მისთვის უცხოაო.

ასეთი გზით მოვიდა ასია დათებაშვილი თეატრში. ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა იგი კლუბებსა და წრეებში სრულიად უხელფასოდ, უგასამრჯელოდ; სამაგიეროდ რა სავსე და კმაყოფილი იყო შინაგანად. იგრძნო, რომ მისი მოწოდება თეატრი იყო და თავისი ცხოვრებაც სამუდამოდ თეატრს დაუკავშირა.

ამ გადაწყვეტილებით მივიდა იგი 1935 წელს ბორჯომის თეატრში, სადაც ალექსანდრე ალაზნისპირელის ხელმძღვანელობით მუშაობდა.

ბორჯომის თეატრში ა. დათებაშვილმა მხოლოდ ერთი სეზონი დაჰყო, მაგრამ დრამატული თეატრის მსახიობის ისეთი მონაცემები გამოამჟღავნა, რომ შემდეგ წელს იგი ბაქოს ქართულ თეატრში მიიწვიეს, სადაც იმ დროს რეჟისორად სიკო ფაჩნაძე მუშაობდა, შემდეგ თბილისი, ზუგდიდი, რამდენიმე სეზონი სიღნაღისა და აბაშის თეატრებში...

1947 წლიდან კი ასია დათებაშვილს ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრში ვხედავთ, სადაც იგი დღემდე განაგრძობს მუშაობას.

თეატრალური კოლექტივების ცვალებადობასთან ერთად ა. დათებაშვილი შემოქმედებითად იზრდებოდა, მწიფდებოდა და ოსტატდებოდა. საქართველოს მრავალი კუთხის გაცნობამ, ახალ-ახალმა მაყურებელმა და შთაბეჭდილებებმა მსახიობს ადამიანებზე დაკვირვებისა და მათი ხასიათების შესწავლის დიდი უნარი განუვითარა.

ჭიათურის თეატრში ა. დათებაშვილს ასზე მეტი როლი აქვს შესრულებული. იგი ფართო დიაპაზონის შემოქმედია და მისი პალიტრაც დიდია და ტევადი. ასევე დიდი და მრავალფეროვანია მისი რეპერტუარი. მან მრავალი ქართველი, რუსი, მოძმე ხალხებისა და უცხოეთის თანამედროვე დრამატურგის პიესების გმირები წარმოსახა და გახსნა მათი ხასიათები.

ა. დათებაშვილი უშრეტი ენერგიის პატრონია, მისი შთაგონების წყარო ცხოვრებაა და სწორედ ამიტომ არიან მის მიერ განსახიერებული გმირები ცხოვრებისეულნი, დამაჯერებელნი.

რა თქმა უნდა, ამ პატარა წერილში ძნელია ანალიზთან ერთად ყველა როლის ჩამოთვლა, რაც მსახიობმა შეასრულა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. მაგრამ ვერც გვერდს ავუვლით ა. დათებაშვილის მიერ შესრულებულ იმ სცენურ სახეებს, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში და მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში.

მსახიობის ინდივიდუალობასთან ძალიან ახლოს დგას ჩვენი დღევანდელი ადამიანი თავისი



ეფა შჩუკა — „უზანის ბაღი"

მისწრაფებებით, სურვილებით, გრძნობებითა და ვნებებით. ამიტომ განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ მწერლების — მარიკა ბარათაშვილის, კიტა ბუაჩიძის, ვალერიან კანდელაკის, გოდერძი ბერიაშვილისა და სხვათა პიესების გმირებს.

ა. დათებაშვილმა მხატვრულ განზოგადებამდე აიყვანა მზრუნველი და მოამაგე მამიდა ქეთევანი (მ. ბარათაშვილის „სიყვარულის წისქვილი“), „მაღალი წოდების“ ცხოვრებით მოხიბლული და ბრმად მიმყოლი ნიმფა (მ. ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთი“), ერთი შეხედვით კარიკატული, მაღალი ზნეობისათვის თავდადებული მაგდა (გ. ბერიაშვილის „ვაზის ტირილი“), კოლმეურნეობის ბრიგადირი მაგდანე (გ. ბერძენიშვილის „სიყვარულის ძალა“), ჩვენი ცხოვრების განვლილი ეტაპიდან შემორჩენილი მუზა (კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“) და სხვა.

ამ გმირებისაგან განსხვავებულია ყველასათვის საყვარელი დეიდა ხლოა ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხიდან“; ამ როლსაც მსახიობმა დიდი სიყვარული ჩააქსოვა.

1953 წელს მეტად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა ა. დათებაშვილის ცხოვრებაში. მას უნდა განესახიერებინა ქართული კლასიკური ნაწარმოების უკვდავი გმირი — ოთარაანთ ქვრივი. ამ როლს იმ ხანებში ჭიათურის სცენაზე ცნობილი მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი თამარ აბაშიძე ასრულებდა. ა. დათებაშვილის ღელვას საზღვარი არა ჰქონდა, რადგან კარგად ესმოდა, რაოდენ რთული იყო ოთარაანთ ქვრივის სცენური სახის შექმნა და ისიც თამარ აბაშიძის შემდეგ, რომლის მიერ განსახიერებულ ოთარაანთ ქვრივს საპატიო ადგილი უჭირავს ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში.

სწორედ ამ შემოქმედებითმა ღელვამ შეუწყო ხელი მსახიობს, რათა მობილიზაცია გაეკეთებინა თავისი აქტიორული შესაძლებლობისათვის და დიდი დრამატიზმითა და ემოციურობით განესახიერებია ოთარაანთ ქვრივი.

მრავალსახოვანი და მრავალფეროვანია დათებაშვილის მიერ სცენაზე გაცოცხლებული გმირები და თითოეულ მათგანზე მუშაობისას მსახიობი ნამდვილ შემოქმედებით სიხარულს ჰპოვებდა. ამას ადასტურებენ ჭიათურის თეატრის დიდიხნის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, აწ განსვენებული პ. ფრანგიშვილი, რეჟისორები: ს. ცომაია, გ. ტყაბლაძე, მ. ვაშაძე, გ. სებისკვერაძე, რომლებთანაც მსახიობ ქალს მრავალი წლის მუშაობა აკავშირებს.

ა. დათებაშვილის აქტიორული ინდივიდუალობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარეა შესანიშნავი — სცენური მეტყველება. მისი სიტყვა გამოკვეთილია, ფრაზა — გამოჭედილი. მის ხმაში ყოველთვის იგრძნობა ინტონაციათა პათეტიკა, მღელვარება, ძლიერი ნება...

ა. დათებაშვილი კარგი ამხანაგია, კარგი მეგობარი და კოლექტივში სიყვარულით სარგებლობს. მის მაღალ მოქალაქეობრიობას თავისი პროფესიის, ქართული თეატრისა და ქართული სცენის დიდი სიყვარული ამშვენებს.

ასეთი დიდი დამსახურებისათვის, ა. დათებაშვილი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავზე, დაჯილდოებული იყო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ხოლო 1965 წ. 14 იანვარს — ჩვენი ტრადიციული ქართული თეატრის დღეს, ა. დათებაშვილს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭეს.

ქართული სცენის ასეთ თავდადებულსა და უანგარო მუშაკს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრმა 1965 წელს სასცენო მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო გაუმართა. საღამოზე მრავალი თბილი და კარგი სიტყვა წარმოითქვა. მადლიერმა მაყურებელმა კი ქართულ სცენაზე კვლავ დიდი ხნის სამსახური უსურვა საყვარელ მსახიობს.

მარგარიტა გოგოლაშვილი



ოთარაანთ ქვრივი (შუაში) — „ოთარაანთ ქვრივი“.



პეპელა (მარჯვნივ) — „ფუქსი განცდები“.



ნიმფა — „ჩემი ყვავილეთი“.

# მეტალურგი

გოგონა დაფიქრებული გაუყვებოდა ლიანდაგებს...

მამა რკინიგზელი იყო და ხშირად უხდებოდა მასთან სიარული. გზად მიმავალი ფიქრობდა მომავალ ცხოვრებაზე, პროფესიაზე... ხანდახან ჩამოჯდებოდა, ინტერესით აკვირდებოდა ლიანდაგებს, მათი რაობა და შემადგენლობა თუ აინტერესებდა!

ასე გადიოდა ბავშვობის წლები...

მეთერთმეტე კლასში იყო მარგალიტა ცქიტიშვილი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა რომ ამუშავდა, მაშინ აღმოაჩინა მან თავისი პროფესია.

მეტალურგი უნდა გავხდე, — განუცხადა ერთ დღეს შინაურებს, — სამსახურიც კარზე მექნებაო.

პირველად ეუცხოვათ მისი განზრახვა, რადგან დედ-მამას უნდოდა ფიზიკურად ნაზი გოგონა მკურნალი ან პედაგოგი გამოსულიყო, მაგრამ ისე მტკიცე იყო მისი გადაწყვეტილება, რომ მშობლებიც დაჰყვნენ ნებას.

თბილისი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი...

მეტალურგიული ფაკულტეტის ლითონმცოდნეობის განხრა აირჩია მარგალიტამ. პრაქტიკა და სადიპლომო შრომა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ჰქონდა, სამუშაოდ კი თბილისში დარჩენა ამჯობინა. აქ უფრო მეტის გაკეთებას შევძლებო.

1945 წელს გაიხსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტი და მარგალიტამ მუშაობა ლითონმცოდნეობის ლაბორატორიაში დაიწყო, ჯერ ლაბორანტად, სამი წლის შემდეგ კი უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1948 წელს დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ამავე წლიდან დღემდე ამ ლაბორატორიის გამგის მოადგილეა.



მისი სადისერტაციო თემა — მაღალმანგანუმიანი აუსტენიტური ჭედადი თუჯის მიღება — მნიშვნელოვანია მეტალურგიაში. სრულიად უცნობი სახელწოდების თუჯი, რომელიც წლების მანძილზე წარმოებული ცდების შედეგად მიიღო მარგალიტამ, ხასიათდება მთელი რიგი დადებითი თვისებებით, რაც გაპირობებულია სტრუქტურული მდგენლის — გრაფიტის ხელსაყრელ ფორმაში არსებობით. იგი რუხ ან თეთრ თუჯთან შედარებით ადვილად დასამუშავებელია, ცვეთაგამძლეა და ამაღლებული მექანიკური თვისებებით ხასიათდება.

მკითხველებისათვის, ალბათ, საინტერესო იქნება, თუ ვიტყვით, რომ ასეთივე დასახელებისა და შედგენილობის თუჯი მხოლოდ სამი წლის შემდეგ გამოიმუშავეს იაპონიაში.

1945 წლიდან მარგალიტა ცქიტიშვილი მუშაობს ქრომმანგანუმიანი შენადნობების გამომუშავებაზე, სწავლობს ლითონის კოროზიასა და მხურვალმტკიცეობას.

ახლადდამუშავებულ ლითონს ჯერ ინსტიტუტში ლაბორატორიულ პირობებში ცდიან, ადგენენ მის სტრუქტურას, ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს, შემდეგ გადასცემენ კოროზიულ ჯგუფს და ცდიან სხვადასხვა აგრესულ არეებში — ორგანულ და არაორგანულ მჟავათა ხსნარებში. თუ ლითონმა დააკმაყოფილა იმ დანიშნულების ყველა მოთხოვნა, რისთვისაც ის მიიღეს, ინერგება მრეწველობაში.

მაგალითად, ლითონმცოდნეობის ლაბორატორიის კოლექტივს, რომლის წამყვანი წევრია მარგალიტა, ხელშეკრულება აქვს დადებული მანქანათმშენებლობის ინსტიტუტთან, დაამზადოს მანქანის ასეთი დეტალი, რომელიც 700-750 გრადუს ტემპერატურის არეში შეძლებს მუშაობას და მნიშვნელოვნად გაადიდებს მანქანის მარგიქმედების კოეფიციენტს. აღნიშნული დეტალი მიღებულია, შემოწმებულია ლაბორატორიულად და შედეგიც დადებითია, მალე იგი მანქანათმშენებლობაში დაინერგება.

მარგალიტა ცქიტიშვილმა გამოიმუშავა ქრომმანგანუმიანი აზოტის შემცველი კოროზიამედეგი შენადნობები, რომლებმაც გაიარა ნახევრად საწარმოო და საწარმოო გამოცდა იტაკონის მჟავაში, ახლა კი საწარმოო გამოცდას რუსთავის ქიმიურ კომბინატში გადის. განზრახულია ქ. ჩერკასკში იტაკონის მჟავის საამქროში მოწყობილობის დასაკომპლექტებლად აღნიშნული ლითონის გამოყენება. ეს მარგალიტას მიერ შექმნილი მესამე ლითონი იქნება.

მარგალიტა ცქიტიშვილს გამოქვეყნებული აქვს ოცამდე სამეცნიერო ხასიათის სტატია ლითონმცოდნეობას დარგში. იგი ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკას“ მუდმივი კორესპონდენტია.

მუდამდღე თავს დასტრიალებს მაღალი ტემპერატურის საზომ აპარატებს, მიკროსკოპებს, ამპერმეტრებს მაღალი, სიმპატიური გარეგნობის ქალი — მარგალიტა ცქიტიშვილი, რომელიც მალე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი გახდება.

**ნანული ბუკია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სტუმარი

ჰოლანდიიდან თბილისში ჩამოვიდა კორნელია ბონ-ფერბერგი. ეს სახელი ძვირფასი და მშობლიურია ბევრი ქართველი ვაჟკაცისათვის, მათთვის, ვისაც მთელი ჩვენი ქვეყანა ტექსელის გმირების სახელით ცნობს. კორნელია ბონ-ფერბერგს 20 წლის წინათ „ჩვენი დედა“ შეარქვეს ქართველმა გმირებმა. დედა უზიდავდა მათ სურსათ-სანოვაგეს, ინახავდა იარაღს, შველოდა, ამხნევებდა ცეცხლოვანი კუნძულის გმირებს. განუსაზღვრელი იყო კუნძულის მკვიდრთა ზიზღი ფაშისტი ოკუპანტების მიმართ. „თქვენი მტერი ჩვენი მტერიცაა!“ — უთხრა კორნელიამ საბჭოთა მებრძოლებს და მთელი მისი ოჯახი მხარში ამოუდგა ქართველებს. მათთან იყვნენ კორნელიას მსგავსად სხვა ტექსელელებიც...

უკან დარჩა ბრძოლის წლები. 750 მებრძოლთაგან 228-ღა დაუბრუნდა სამშობლოს. დანარჩენები ძმათა სასაფლაოზე წვანან და კორნელია მეგობრებთან ერთად სათუთად უვლის მათ საძმო საფლავს...

ჩვენ ვინახულეთ საქართველოში სტუმრად ჩამოსული კორნელია ბონ-ფერბერგი. იგი მაღალი, თეთრთმიანი ქალია. სიყვარულით ლაპარაკობს თავის „შვილებზე“, რომელთაც „ჰოლანდიის შვილებსაც“ უწოდებს. მერე ჩანთას ხსნის და უამრავ ფოტოსურათებს გვთავაზობს. აქ არიან ქართველი ბიჭები, ცალ-ცალკე თუ ჯგუფურად გადაღებულნი. ეს 20 წლის წინანდელი სურათებია, მაგრამ კორნელია შეუცდომლად იხსენებს ამ ვაჟკაცების გვარსა და სახელს.

ზოგიერთმა ამ ვაჟკაცთაგანმა უკვე ინახულა თავისი „დედა“, ზოგს თავად კორნელია ესტუმრა. ნახა თბილისელი შალვა ნოზაძე, ევგენი არტემიძე, სიღნაღელი ილია ბეგიაშვილი, ბორჯომელი ნოე გონგლაძე, მუხრანელი გარეგინ ოსკანოვი... მეგობრებთან ერთად დაათვალიერა ჩვენი თბილისი, მცხეთა, რუსთავი, ბორჯომი, სოხუმი და საქართველოს ხალხითა და მრავალფეროვანი ბუნებით აღტაცებული დარჩა.

კორნელია ბონ-ფერბერგმა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მკითხველებს ბევრი კეთილი სურვილი შემოუთვალა. უსურვა ჩვენს დედებს, დებს და შვილებს, არასოდეს განეცადოთ ომის საშინელება!



კორნელია ბონ-ფერბერგი

ფოტო დ. იაკობაშვილისა

ბერდია ბერიაშვილი

# ისე, ვით ქარში გაფანტულ ფოთლებს

მეგობარი პოეტის — ლევან გელაძის ხსოვნას

ტანს ირუჯავდა ლურჯი ბათუმი,
მწვანე კაბაში დამხვდა აჭარა.
შემოდიოდა ჩემში სიჩუმედ
ის, რამაც სისხლი ამიმაჭარა.

მერე დავტოვეთ ქალაქის მტვერი
და მაგნოლიის ღიმილი თეთრი.
მალე შეერთდა ზღვის და ცის ფერი
და ჩვენც ზღვასა და ცას შევუერთდით.

ტალღებმა უცებ დაუშვეს აფრა,
ღელვა გადაგვედეს და არ ღელავდნენ.
ზღვით და ცით ავსილთ, ჩვენ მაშინ მართლაც
ლექსები გვსურდა, თანაც ყელამდე!

და როგორც მკლავზე ლამაზი დალი,
ჩვენს სულში მხოლოდ სიმშვიდე იწვა.
ზღვაში ჩაყრილი ვარსკვლავნი ვთვალეთ,
ზღვამ ყველაფერი გადაგვავიწყა.
იყო სილურჯის სულში ღაღანი,
როცა ერთმანეთს ლექსით შევებით.
შენ წამოიწყე: „მუხა ვარ მწვანე
და ფოთლებივით მწყდება დღეები".

დღეს შემოაწვა გულს დარდი დიდი
და სულში სევდის ფანტელებს მოთოვს.
მივხვდი, სიცოცხლეს რატომ ადრიდი
ხეზე უდროოდ მოწყვეტილ ფოთოლს.

ვაგლახ, მცველად ვერ გადავეფარე
სიცოცხლის დღეებს, — შენს ოქროს ვერძებს.
ეს გული — შენი თბილი სამარე,
ცაში გაფანტულ ფოთლებად გეძებს.

# ქარი ბორჯომში

რაღაც მაღელვებს, რაღაც ცეცხლს მინთებს
და უსიმღეროდ, აბა, რა გაძლებს.
ქარი ჩამოჰკრავს ქარვისფერ თითებს
და აამღერებს ბორჯომის ნაძვებს.

დღეს ხმაური და ღელვა მწყურია,
განაბულია ყველა ბალახი.
ფოთლების მწვანე ცა მახურია,
ვწერ, საიდანღაც მესმის კარნახი.

გული გულს ეძებს და გულს გასძახის
და თვალნი შენნი ჰგვანან ტალკვესებს
და მე გიკითხავ ნაძვის კარნახით,
ფიჭვის კარნახით დაწერილ ლექსებს.

# დედა-მამა



თამარ გიორგობიანი ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს დეპუტატია. მეშვიდეჯერაა იგი არჩეული ხალხის მსახურად.

ომის მრისხანე დღეებში შევიდა თამარი სკკპ რიგებში. მაშინ თბილისის ქალთა მე-10 საშუალო სკოლას ხელმძღვანელობდა. იგზავნებოდა ფრონტზე თბილი ტანსაცმელი, ხილი, გულთბილი წერილები მე-10 საშუალო სკოლის პედკოლექტივიდან. შემდეგ თამარი თბილისის 61-ე საშუალო სკოლას ჩაუდგა სათავეში, კარგი სახელი მოიხვეჭა და მაღალი ჯილდოც — ლენინის ორდენი და მედლები დაიმსახურა.

ძველებური ენერგიით და დიდი ენთუზიაზმით ხელმძღვანელობს ამჟამად თამარი ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს განათლების მუდმივ კომისიას, ხელს უწყობს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას.

თამარი და კომისიის სხვა წევრები ეცნობიან რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მდგომარეობას და სწავლაში აბამენ ყველა მოზარდს, დიდ ყურადღებას უთმობენ რუსული ენის სწავლების საქმეს. გულდასმით ეცნობიან რუსული ენის სწავლების მდგომარეობას რაიონის ქართული სკოლების დაწყებით კლასებში და შედეგები განსახილველად გააქვთ რაიონის დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა თათბირებზე, ეხმარებიან სკოლებს ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებაში, საგაზაფხულო გამოცდების წარმატებით ჩატარების საქმეში.

თამარმა ჩაატარა რაიონის ქართული სკოლების დამამთავრებელ კლასებში საკონტროლო წერა. ნაწერების შედეგი აცნობა სკოლებსა და მასწავლებლებს, მისცა მათ სათანადო რჩევა-დარიგება შემჩნეული ნაკლის გამოსასწორებლად, საერთო შედეგები კი განიხილა ამ სკოლების ხელმძღვანელებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა თათბირზე.

თამარის მიერ შესწავლილი საკითხები ხშირად აღმასკომის სხდომის მსჯელობის საგანი ხდება, მაგალითად, როცა ჩატარდა თბილისის 55-ე საშუალო სკოლის კომპლექსური შემოწმება (განათლების განყოფილებასთან ერთად), შედეგები აღმასკომის სხდომაზე მოისმინეს.

თამარი უყურადღებოდ არც საბავშვო ბაღებს ტოვებს. განსაკუთრებით ზრუნავს ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციისათვის.

თამარი მისი ყოფილი სკოლის ხშირი სტუმარია. კოლეგებს ეხმარება მუშაობის წარმართვაში, რჩევა-დარიგებებს აძლევს ახალგაზრდა მასწავლებლებს.

თამარი წერს ამ სკოლის მატიანეს და სურს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე იგი სკოლას გადასცეს. იგი ამუშავებს მეთოდურ საკითხებს დაწყებით კლასებში ქართული ენის სწავლების შესახებ.

სამი წელია თამარი ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა ღირსების სამჯავროს მდივანია და არა მარტო ოქმებსა და დოკუმენტებს აფორმებს, არამედ აქტიურად მონაწილეობს სამსჯავროს მუშაობაში. სამსჯავროს სხდომაზე გამოაქვს კარგად მოფიქრებული და შესწავლილი საკითხები, რომლებიც ეხება ცოლქმრულ უთანხმოებას, მშობლების მიერ შვილების არაწესიერად აღზრდას.

შესწავლილ საკითხებზე მიღებული ღონისძიებების შესრულებას ხომ სისტემატური კონტროლი სჭირდება. ამ კონტროლით თამარი სასურველ შედეგებს აღწევს.

სიდონია ხუნდაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წელიწადში ერთ ადგილზე...

დილით ელნათურები გაუფერულდებიან და გაქრებიან თუ არა, ტატიანა მაღაზიაში შედის. გააკრიალებს ვიტრინებს, მერე საწყობში წავა, ყოველ ღონეს იხმარს სხვადასხვა ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი პროდუქტი შემოიტანოს სექციაში და ყველაფერს ისე კოხტად დაალაგებს თაროებზე, ძალაუნებურად მიიზიდავს მომხმარებლის თვალს.

დაუზარელი ქალი მარტო თავისი სექციისათვის როდი ზრუნავს. იგი ყველა სექციას ჩამოუვლის, თუ რაიმე არ მოეწონა, უთუოდ შემჩნევას მისცემს გამყიდველს, მერე დაარიგებს

მაღაზიაში ფეხს შედგამთ თუ არა, ტატიანა ჯერ ღიმილს შემოგაგებებთ, მერე — რას ინებებთ ბატონოო, — თავაზიანად შეგეკითხებათ, არაფერზე დაგზარდებათ, ათჯერ რომ სთხოვოთ ერთი და იგივე საქონელი მაჩვენეთო, ათჯერვე წარბშეუხრელად გადმოგიღებთ და გაჩვენებთ, ზომა-წონაში ხომ ერთ მისხალსაც არ დაგაკლებთ.

10.385

ლიდია მეგრელიძე

## ცელქი ტიტო

რას ტიკტიკებს ნეტავ ტიტო!
ნეტავ რა აქვს სატიკტიკო?..

,,აგი ალა... იგი ალა...“
ბებოს ვაშლი გამოლალა.

სკამზე ახტა, ზე ავარდა,
თავდაყირა გადმოვარდა.
გაიტეხა ტიტომ ცხვირი,
,,დედიკო-ო“ ტირის, ტირის.

## ზამთარი

გაიღვიძა ციალამ,
ნახა თოვლი ცქრიალა.
აგერ, თეთრ ალიონზე
ჩიტმა გაიფრთხიალა.
გიგლა კოშკებს აშენებს,
მწვანე წიწვით ამშვენებს.
ეს მხატვარის ხელია —
დღეს ახალი წელია.
კარზე მეგებებიან
პირმღიმარი დედები;
თქვენი პატარებისთვის
მყავს მშვიდობის მტრედები!

ამიტომაც ყველაზე ჭირვეული მომხმარებელიც კი მადლობის გრძნობით გადის მაღაზიიდან. ამიტომაც უყვართ ცხაკაიელებს ტატიანა თევზაია და გულმართალ და უანგარო ქალს ეძახიან.

ტატიანა ეხმარება ახალგაზრდებს, რადგანაც საკუთარი მწარე გამოცდილებიდან იცის, რომ ყოველთვის უჭირს ახალბედას. ტატიანასაც უჭირდა მაშინ. თექვსმეტი წლის იყო ტატიანა, სოფელი რომ მიატოვა და ქალაქ ცხაკაიაში კამფეტების ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა, ეს იყო 1929 წელს. 1934 წელს კი კვების მრეწველობის № 1 სასურსათო მაღაზიაში დანიშნეს გამყიდველად. სასწორთან მიახლოებისას ხელები უკანკალებდა, ეშინოდა, ვინმესთვის არ დაეკლო წონაში ან ასორტიმენტი არ შეშლოდა. უცნაურად ფრთხილობდა იგი. მერე ტატიანა თბილისში გამოგზავნეს გამყიდველების გადასამზადებელ კურსებზე. ცოდნას დაუფლებული ქალიშვილი ისევ ცხაკაიაში დაბრუნდა და № 8 სასურსათო მაღაზიაში გამყიდველად შეუდგა მუშაობას. მას შემდეგ გეგმას გადაჭარბებით ასრულებს. საქონლის ბრუნვის გეგმის სისტემატურად გადაჭარბებით შესრულებისათვის და მომხმარებელთა კულტურული მომსახურებისათვის უთვალავი მადლობა და ჯილდო აქვს მიღებული-მათ შორის ხუთი საპატიო სიგელი და მედალი ,,შრომითი მამაცობისათვის“, ორჯერ იქნა არჩეული ცხაკაიას რაიონული საბჭოს დეპუტატად. და დღესაც თავდადებით ემსახურება ამომრჩევლებს.

ტატიანა თევზაია (შუაში).



1966 წელს ცხაკაიას ერთი ახალი ლამაზი სასურსათო მაღაზია შეემატა. რაიონის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ახალი მაღაზიის შტატი ახალგაზრდა ძალებით დაეკომპლექტებია. დირექტორადაც ახალგაზრდა ქალიშვილი მადონა შაფათავა დანიშნეს, საკონდიტრო სექციის გამგედ ტატიანა გადაიყვანეს, რადგან იციან, ტატიანას გვერდში მომუშავენი თავს არ შეირცხვენენ. ტატიანაც დაუზარელად უზიარებს ახალბედებს თავის გამოცდილებას. მაღაზიის კოლექტივი დედასავით შეეწყო ტატიანას, რადგან ყველას ფიქრი ერთია — პირნათლად ემსახურონ ხალხს.

ოცდათორმეტი წელია მუხლჩაუხრელად დგას ტატიანა დახლთან, შუბლგახსნილი, ენერგიული, გულმართალი და უანგარო, ოცდათორმეტი წელია ემსახურება მომხმარებლებს პირნათელი, პატიოსანი და მუდამ თავაწეული...

**ო. გაბუნია**

# ქართველი ქალები დეკაბრისტებამდე ციმბირში

(1813-1818)

> ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
> კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!
>
> ნ. ბარათაშვილი

საქართველოს ისტორია სავსეა ქართველი ქალის მხნეობის, მისი სულიერი სიდიადის მაჩვენებელი მაგალითებით. ჭირსა თუ ლხინში ქალი გვერდში ედგა ქმარს, მამას, ძმას და უმსუბუქებდა მათ მძიმე ცხოვრებას; იგი თავდაუზოგავად შრომობდა, იღწვოდა და იბრძოდა ოჯახის, შვილებისა და სამშობლოს ბედნიერებისათვის.

ასე იყო ყოველთვის და ასე მოხდა 1812 წელსაც, როცა კახეთში მეფის მთავრობის წინააღმდეგ იფეთქა დიდმა სახალხო აჯანყებამ. სიცოცხლეგამწარებულმა ხალხმა ხელში იარაღი აიღო და მჩაგვრელებს რისხვად მოევლინა. მაგრამ აჯანყება დამარცხდა, მისი მონაწილენი კი თვითმპყრობელობამ სასტიკად დასაჯა. გლეხებს ადგილზევე გაუსწორდნენ — მრავალი მათგანი (მათ შორის ერთი 75 წლის მოხუცი ქალი) ჩამოახრჩვეს, მრავალი გაროზგეს, და თუ რამ ებადათ, წაართვეს, ხოლო თავადაზნაურთა ის ნაწილი, რომელიც აჯანყებულ ხალხს მიემხრო, რუსეთის შორეულ მხარეებში გადაასახლეს.

1813 წლის ზამთარში თბილისის საპატიმროდან გამოიყვანეს და შორეული ციმბირის გზას გაუყენეს აჯანყების აქტიური მონაწილენი: სიღნაღის თავადაზნაურთა მარშალი ივანე ანდრონიკაშვილი, მისი შვილი ზურაბი, მისი ძმა რევაზი, ნინია ჩერქეზიშვილი, დიმიტრი თარხნიშვილი, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, დავით აბაშიძე, სიმონ ჭავჭავაძე, დიმიტრი გურგენიძე, გრიგოლ ჯანდიერი, იოსებ ერისთავი, ძმები ფილიპე და ზებედე შატბერაშვილები, დიმიტრი ვაჩნაძე და სხვანი — სულ 57 კაცი. ისინი შორდებოდნენ საყვარელ სამშობლოს, ოჯახს, ნათესავებს, მიდიოდნენ მძიმე ბორკილების ხმაურით; მათ არ გააჩნდათ არც თბილი ტანსაცმელი, არც ფული; არ იცოდნენ რუსული ენა, არ იცოდნენ, წინ რა ელოდათ; წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ რუსეთზე, ციმბირზე...

გადასახლებულ მამაკაცთა შორის მხნედ მიაბიჯებდა ორი ქალი, რომელთა მოქმედება მთავრობამ განსაკუთრებით საშიშ „დანაშაულთა" კატეგორიას მიაკუთვნა. ესენი იყვნენ დები ორბელიანები — ეკატერინე (ჩოლოყაშვილის მეუღლე) და გუქა (ნათალიშვილის მეუღლე).

ეკატერინე და გუქა მკვიდრი მამიდები იყვნენ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ორბელიანისა (ერეკლე მეფის შვილიშვილი, თეკლა ბატონიშვილის ვაჟი), რომელიც თავის „მოგონებებში" აღნიშნავს: „კახეთის არეულობაში მამიდაჩემები ეკატერინე და გუქა გაერივნენ და ხალხს აღელვებდნენ და სხვანი ბევრი ქალებიც იყვნენ გარეული, მაგრამ რუსებმა სხუებს არ დასდიეს რა, ის ორი მამიდაჩემები აქ, ტფილისში, დაჭერილი ჩამოიყვანეს და აქედანვე რუსეთში გაისტუმრეს".

რა ბედი ეწია ამ უბედურ ადამიანებს? მოახერხეს მათ სამშობლოში დაბრუნება, თუ უცხო მხარეში დატოვეს თავიანთი ძვლები? ამის შესახებ ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდხანს არაფერი იცოდა, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვში, ჟანდარმერიის საიდუმლო არქივში აღმოჩნდა საინტერესო დოკუმენტები, რომლებიც შუქს ჰფენენ გადასახლებულთა ცხოვრების ზოგიერთ მხარეს.

გადასახლებულები რამდენიმე თვეს გზაში ყოფილან, სიცივისა და შიმშილისაგან დიდი ტანჯვა-წვალება გაუვლიათ, შემდეგ მთავრობის განკარგულებით ისინი პატარ-პატარა ჯგუფებად დაუყვიათ და რუსეთის შორეულ ქალაქებში მიმოუფანტავთ. პერმი, ტობოლსკი, ირკუტსკი, ომსკი და ციმბირის სხვა ქალაქები გამხდარან მოწმე პირველი ქართველი გადასახლებულების ტრაგიკული ბედისა. ბევრმა გადასახლებულმა ვერ გაუძლო სასტიკ რეჟიმს, შიმშილს, სიცივეს და უცხო მხარეში დალია სული. ერთ-ერთ „უმორჩილეს თხოვნაში" სიღნაღის თავადაზნაურთა ყოფილი წინამძღოლი ივანე ანდრონიკაშვილი ევედრება მთავრობას, ნება დართონ ახლოს იყოს შვილთან, ზურაბთან, რომელიც მძიმედ იყო ავად. მომდევნო დოკუმენტიდან ჩანს, რომ მისთვის უარი უთქვამთ და შვილი მამის დაუტირებლად გარდაცვლილა. გარდაცვლილან აგრეთვე ძმები შატბერაშვილები, დიმიტრი ჩოლოყაშვილი, იოსებ ერისთავი, ნინია ვაჩნაძე, ნინია ჩერქეზიშვილი, არსენ მაყაშვილი და სხვანი.

ნათესავებს და მეგობრებს ყოველი ღონე უხმარიათ, რათა დახმარება აღმოეჩინათ და ოდნავ მაინც შეემსუბუქებინათ გადასახლებულთა მძიმე ხვედრი. ქართველ პატრიოტ ვაჭარს, გრიგოლ დავითის ძე სარაჯიშვილს რამდენჯერმე მოუხერხებია ნათესავების მიერ შეგროვილი ფულისა და ტანსაცმლის მიწოდება ციმბირის სხვადასხვა ქალაქებში გაფანტულ გადასახლებულთათვის და ამით მათი უსაზღვრო მადლობა დაუმსახურებია. უაღრესად დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონია ნათესავების წერილებს. არ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქივში დაცულია მრავალი წერილი, რომელთა ავტორები — მეუღლეები, შვილები, და-ძმები — ამხნევებენ გადასახლებულებს და უნერგავენ მათ მალე განთავისუფლების რწმენას. საოცარია, რომ თავის მხრივ გადასახლებულები, რომელთა სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ხშირ შემთხვევაში იმდენად თავისთავზე არ ზრუნავდნენ, რამდენადაც ოჯახზე, შვილების აღზრდაზე, მათ სწავლაზე. აი, მაგალითად, დამახასიათებელი ამონაწერი ერთ-ერთი წერილიდან, რომელიც დავით აბაშიძეს ციმბირიდან მეუღლისათვის გამოუგზავნია:

„ამილახვრის ასულო ანასტასიავ!

შენს და შენი შვილების მშვიდობას ღმერთს ვთხოვ... ახლა ჩემს ამბავს ინებებ, ვარ ცოცხალი... ერთი ეს არის ჩემი ვედრება: ყმაწვილების გაზრდას გევედრები სკოლაში".

არქივის მასალებიდან ჩანს, რომ გადასახლებულთათვის დიდი მორალური და მატერიალური დახმარება გაუწევიათ რუსეთში მყოფ ბატონიშვილებს — დავითსა და თეიმურაზს, აგრეთვე ქართული სამეფო ოჯახის სხვა წევრებს. როგორც ჩანს, სწორედ მათი დაუღალავი მეცადინეობის შედეგად მოხდა, რომ 1818 წლის შემოდგომაზე ხელმწიფემ გადასახლებულთა ერთ ნაწილს „დანაშაული" აპატია და სამშობლოში დაბრუნების ნება მისცა.

მაგრამ რაღა დაემართათ გადასახლებულ ქალებს, — ეკატერინეს და გუქას?

ისინი მთავრობას დანარჩენ გადასახლებულთაგან გამოუცალკევებია და სამუდამო პატიმრებად გაუგზავნია ბელგოროდის მონასტერში (კურსკის გუბერნია).

არქივში დაცულია გუქას ხელით დაწერილი რამდენიმე წერილი შვილებისა და ნათესავებისადმი. იქვეა თეკლა ბატონიშვილის მიერ თავისი მულების — ეკატერინესა და გუქასათვის საქართველოდან გაგზავნილი ვრცელი წერილი. ამ წერილებში, რომელთა წაკითხვა აუღელვებლად ძნელია, კარგად ჩანს როგორც გადასახლებულ ქალთა უმძიმესი ხვედრი, ისე ქართველი ხალხის იმდროინდელი ცხოვრების ზოგიერთი საინტერესო მომენტი. ამიტომ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება მოვიტანოთ გუქას და თეკლა ბატონიშვილის წერილებიდან ზოგიერთი ამონაწერი.

„შენის უბედური დედის დაბნელებულის თვალის სინათლენო, შვილებო — დავით, ნინა, ელისბარ და მიხეილ, და თუ სული გიდგას, გავრინავ.

ჩემს სატრფიალოდ და სანახავად თვალს, პირს, გულს და ხელებს უთვალავად დაგიკოცნით, თუღა ღმერთი მაღირსებს თქვენს დანახვას, შვილებო. მესამე თვეა თქვენი აღარა ვიცი რა. იფიქრეთ, ჩემი სიცოცხლე რაღა სიცოცხლე მექნება... ნეტავი ღმერთმა ჩემი ცოდვის სიმრავლე და უბედურება მოგაშოროთ თქვენ მაინც, არ დაიტანჯოთ და მე თქვენის ჭირის სანაცვლო ვიყო. შვილებო, თქვენი ჭირიმე, რით ცხოვრობთ, ან ვინ არის თქვენი ნუგეშის-მცემელი. მომწერეთ თქვენი ამბავი. დავით, შენი ჭირიმე, შვილო, ჭკვიანათ მოიქეც და მართებულად. სწავლას ეცადე. ან წყალში არა აიტეხორა ან ბაღებში არ იარო. ღმერთს გაფიცებ და ჩემს დედაშვილობას, რიგიანათ იყავ და ღვთის სასიამოვნოთ და იმის სადიდებლად ქცევას ეცადე და შენს წრილ და-ძმათ მოუარე და უპატრონე რაც შეგეძლოს... დედაშვილობას. შენი ჭირიმე, ნინო, შენს თავს გაუფრთხილდი. როგორც დაკრძალულათ მყოლიხარ, უფრო განიკრძალე. შენი თავი უმართებულოთ არავის დაანახო. სწავლას უპეჯითე. დედიდაშენს სალომეს მალ მალ იახელ ხოლმე. ეგ რიგიანათ დაგარიგებს თავის ღთის დასამადლებლად. შენს და-ძმათ მოუარე რაც შეგეძლოს და უპატრონე. დედაშვილობას, წიგნი მომწერე და თქვენი წრილი ამბავი, ან სად დგეხართ ან ვინ არის თქვენი მოწყალე ან პატარა გავრინე ცოცხალია კიდევ. სწორეთ მომწერე, მითომც თვალით მინახევხართ. შენი ჭირიმე, ეგება მიხეილ უსწავლელი არ დაგრჩეთ. ელისბარს მხედრული მაინც ასწავლეთ. შვილო, ვიცი — ჩემს ამბავს იკითხამთ. რაღა მოგწერო. მშვიდობით ვარ. ბელფექორის მონასტერში თოთხმეტს მაისს მოგვიყვანეს და ვყრივართ... წირვისა არა გვესმის რა და ლოცვისა. ნეტავი ერთი იყოს ვინმე, რომ ჩვენი სიტყვა გავაგონოთ. თვეში ერთი თუმნის შავი ფული მაქვს ჩასაცმელათ, საჭმელად და ყოველფერათ.. ჩემო დამტირებელო შვილებო — დავით, ნინო, ელისბარ, მიხეილ, თქვენს შვიდობას თქვენს მფარველს ღვთის მშობელს ვთხოვთ. თქვენი ჭირიმე, თუ არა გჭირთრა, თქვენს თავს გაუფრთხილდით, არა აიტეხოთრა, თქვ-ნ გენაცვალე.

მაისის კ. ბ. შენი უბედური დედა გუქა".

ამავე წერილში გუქა ევედრება ნათესავებს და მეზობლებს, ჩემს შვილებს მიხედეთო. საინტერესო ისაა, რომ ეს ჭამწარებული ადამიანი მრავალჯერ იმეორებს: ბავშვები „სწავლაში აბეჯითეთო".

„ჩემო საყვარელო მარინე, ღმერთს შემავედრე, ეგება კიდევ მეღირსოს თქვენი ნახვა. შენ იცი და ჩემის შვილების ყურის მიგდებამ...

შენი ჭირიმე, სალომე, გევედრები ნინოს ყური მიუგდე და ასწავლე. მადლია. უწყალო ობოლია. მაგისი სწავლა სასყიდელია...

შენი ჭირი შენს დეიდას, მავავ, ნინო და ჩემი შვილები გებრალებოდეს. ნინო უმართებულოთ არ მოიქცეს. სწავლაში აბეჯითე, შენ გენაცვალე. საცოდავი ობოლი არის. მადლია მაგისი სწავლა. ყმაწვილია, არა იცის რა".

როგორც ვხედავთ, ეს წერილი დიდი ადამიანური დოკუმენტია, რომელშიც მშვენივრად მოჩანს არა მარტო გადასახლებაში მყოფი პირველი მეამბოხე ქართველი ქალის სულიერი განწყობილება, არამედ იმდროინდელი ქართული ოჯახის სიმტკიცე და ზნეობრივი სიფაქიზე.

ასევე უაღრესად საინტერესოა თეკლა ბატონიშვილის წერილი გადასახლებაში მყოფი მულებისადმი, რომელიც დაწერილია 1816 წლის თებერვალში. მასში ნათქვამია:

„უსაყვარლესო დებო ეკატერინევ და გუქავ, ღ-სა ვთხოვ რომ თქვენი მშვიდობით ნახვა მღირსებოდეს ჩვეულებრივ; თქვენი წიგნები მომივიდა ორჯელ, და იფიქრეთ როგორც ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა. ასე ასიამოვნა ჩემი გული რომ თქვენთან მჯდარვიყავ და ჩვეულებრივ თქვენთან მესიამოვნა, მაგრამ ისეთებს იწერებით ჩემი გული ადუღდების და თვალი ცრემლისაგან აღარ დადგება ხოლმე. ამისთანას მწუხარებას თქვენს თავს რათ აძლევთ, თქვენს თავს გააძლებინეთ, იცოცხლეთ, ღ-სა ვფიცავ რომ ღ-თ მალე გეღირსებათ თქვენს ქვეყანაში მოსვლა. ჩემი ამბავი და ცხოვრება გეკითხათ ყოველისფერისა, ღ-თის მოწყალებით ჩემი ჯავრი ნურა გაქვსთრა, აღარც პურსა ვყიდულობ, ყოველთვის ხვნა მაქვს ძასაწიჯალოს (?) არხიც გავაკეთებინე, სულიც მოიდგეს თათრებმა ცოტა ოდნათ, ბაღსაც უმატებ და ვაკეთებ. თქვენს უკან ბევრი აქვს მომატებული, უცხო რამ არის; ასოცი თუმანი პენცია მაქვს წელიწადში; რაც მარკიზმა წარმადგინა ხელმწიფესთან, ამ მთავარმართებელმაც წარმადგინა და ღ-თის მოწყალებით იმედი მაქვს რომ მიმივიდეს, მანავს ზვარი ისევ მე მიჭირავს, ექვსის წლობით იყო აღებული, ერთი მოსავალიც მე უნდა მეჭიროს; შარშანწინ ძალიან დასეტყვა და არ ჩამიგდეს, იმ წელიწადს ძალიან ზარალი ვნახე; ორი წელიწადია მეტად ღვინის იაფობა არის, სამ შაურათ თუნგი მეტად აღარ გასყიდულა... ამის მიზეზითაც ზარალი ვნახე იაფობის გამო...

ეკატერინავ და გუქავ, ჯერ ღ-ს გაფიცებთ და მერე იმ თქვენს საყვარელ ძმას, რომ თქვენს თავს და გულს მწუხარება მოაშორეთ, ნურასფერზედ ნუ იწუხებთ თუ ან თქვენის შვილების ან ჩემი და ან თქვენის ძმისწულების სიყვარული გაქვთ რომ ღ-ნ ერთმანეთის ნახვა გვაღირსოს...

თქვენის მოშორებისათვის დიდათ მწუხარე თქვენი რძალი მეფის ასული თეკლა".

ამ წერილიდან კარგად ჩანს მეფის მთავრობის იმდროინდელი პოლიტიკა ქართველი თავადაზნაურობის მიმართ. თუ „ურჩ" თავადებს ხელმწიფე სასტიკად სჯიდა და ციმბირში აგზავნიდა, სამაგიეროდ სხვებს პენსიებს უნიშნავდა, რათა მათი გული მოეგო და საქართველოში რუსეთის ერთგული ქვეშევრდომების რიცხვი გაემრავლებია.

წერილი გვამცნობს, აგრეთვე, იმდროინდელი საქართველოს ეკონომიური ვითარების ზოგიერთ მხარეს, კერძოდ, თავადაზნაურთა მაღალი ფენების ჩაბმას სასაქონლო-სავაჭრო ურთიერთობაში. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ თუკი ერეკლე მეფის ასული არ თაკილობდა ღვინით ვაჭრობას, ცხადია, ვაჭრობისაკენ მისწრაფება ამ დროს უკვე საკმაოდ ფეხმოდგმული ყოფილა ქართველ არისტოკრატთა შორის.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ გადასახლებული ქალების ბედს.

სამწუხაროდ, ეკატერინე ორბელიანი-ჩოლოყაშვილისა ვეღარ ეღირსა სამშობლოს ხილვას, ის გადასახლებაში გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს. მისი და გუქა კი, თითქმის 6 წლის ტანჯვა-წვალების შემდეგ, 1818 წლის შემოდგომაზე გაანთავისუფლეს და საქართველოში დაბრუნდა.

ვინ აღწერს იმ განცდებს, იმ ცრემლიან სიხარულს, რომელსაც ეს განაწამები, მაგრამ სულით მამაცი ქალი განიცდიდა, როცა სამშობლოს საზღვარს უახლოვდებოდა, ან როცა თავის სახლ-კარს მიადგა და გარშემო საყვარელი შვილები შემოეხვივნენ!

პ. რატიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. პავლოვა

# [illegible]

იუმორი

ის მეტროში გავიცანი, ორშაბათს.

ოქროსფერი, სადად დავარცხნილი თმა ჰქონდა, ვარდისფურცლივით ნაზი ტუჩები, რომელსაც ჯერ არ შეხებოდა საღებავი და თვალები ისეთი, მაშინვე რომ ჩაგიძირავს.

ყოველ დილით სამსახურში მიეშურებოდა.

თავმდაბალი და მშვენიერი იყო.

სამშაბათს სამსახურამდე მივაცილე.

ოთხშაბათს კი პაემანზე დავითანხმე პარკში.

ჯერ პაემანზე არ ვყოფილვარ, ამიტომ გამოცდილება არა მაქვს, მაგრამ მტკიცედ მჯერა მეცნიერებისა, და, იმედია, ყველაფერს შევიგნებ.

ოთხშაბათს ბიბლიოთეკაში წავედი და გადავიკითხე ლიტერატურა, რომლებშიც პირველი პაემნებია აღწერილი.

გამოირკვა, რომ პირველი პაემანი საპასუხისმგებლოა და მარტო მხატვრული ლიტერატურა არ მიშველიდა. ამიტომ შევიძინე განმარტებითი ლექსიკონი და „ესთეტიკური ქცევის" სახელმძღვანელო.

ხუთშაბათს ვიმუშავე სიტყვების მარაგის გამდიდრებაზე და გამოთქმების სისწორეზე.

პარასკევს გავიზეპირე ესთეტიკური და ზრდილობიანი ქცევის წესები.

შაბათს ვიბანავე და ისე გავსუფთავდი, როგორც ჯარისკაცი ალლუმის წინა დღეს. მერე ტანსაცმლის დამონტაჟებას მოვუნდი.

...პაემანზე ერთი საათით ადრე მივედი, რადგანაც დრო მეპირდებოდა, რომ გამემეორებინა ის სიტყვამოსწრებული საუბარი, რომელიც წინასწარ გავიზეპირე. ჩვენ წავიდოდით კინოში ან თეატრში. ვისაუბრებდით წიგნებზე, საყვარელ გმირებზე, გულით ნათესაობაზე, შეიძლება, პირველი ნახვით შეყვარებაზეც.

ექვსი საათი გახდა. ის არ ჩანს. ნე არ ვღელავ. ვიცი, რომ ასე უნდა. ყველა მხატვრულ ლიტერატურაში ასე წერია: ქალი უსათუოდ აგვიანებს. დროის გ საყვანად თვლა დავიწყე. მაგალითად, რამდენი შემოსასვლელი კარია პარკში, მივაყოლე ყველა ფარდული და სანაყინე.

მერე ხეივნებში განლაგებული ქანდაკებები, ტუმბები და ურნები დავითვალე, მივაყოლე ხეები.

ის არ ჩანს.

მაშინ დავითვალე სკამძელები, რომლებზეც შეყვარებულები ისხდნენ და თანდათან გადავედი რთულ არითმეტიკულ გამოანგარიშებებზე. ადრე დათვლილ შეყვარებულების მიერ დაკავებულ სკამძელებს ცარიელი სკამძელები მივუმატე და მიღებული რიცხვი შეყვარებულების რიცხვზე გავყავი.

პარკში შემოსულ თითოეულ შეყვარებულზე მოდიოდა ორნახევარი სკამი. მერე დავითვალე, რამდენი წნულია პარკის გალავანზე — მივიღე 18.864 წნული. ინვენტარიზაცია შეიძლება დამთავრებულად ჩათვლილიყო, რადგან დასათვლელი თითქმის აღარაფერი დარჩა, მაგრამ ის მაინც არ ჩანდა.

მილიციელი, რომელიც პარკში მორიგეობდა, დიდი ხანია უკვე დაკვირვებით მადევნებდა თვალს.

მან სამჯერ გაიარ-გამოიარა ჩემს წინ.

მე დავითვალე მის კიტელზე დაკერებული ღილები და მერე მის მიერ გადადგმული ნაბიჯები — ჩემსკენ და უკან.

ამას მოუნდა კიდევ ერთი წუთი.

ის კვლავ არ ჩანდა.

მაშინ ჩემს თავს მივეცი უკანასკნელი ამოცანა: გავიგებ, რამდენი აგურია პარკის გალავანზე და წავალ.

ორმოცდაათი ათასს გადავაჭარბე, ის რომ გამოჩნდა.

თვლა შევაჩერე 52.624-ე აგურზე და შევეგებე. ვერ ვიცანი. ის, ის აღარ იყო. თმა აღარ ჰქონდა — მის მაგივრად თავზე ამოკოპსილი კულულები ედო. მისი თვალების ტბაში ჩაძირვა აღარ შეიძლებოდა, რადგანაც სქლად შეღებილი წამწამები მტვერსაც კი გაფილტრავდა. ვარდის ფურცელა ტუჩებზე მოთეთრო ცხიმიანი საღებავი ესვა.

— ჰელო, ყმაწვილო, — დამიძახა მან — დიდი ხანია მელოდები? ძლივს მოვიშორე ერთი ჩუვაკი. რას მომშტერებიხარ? ისე, მამა აბრამის ბატკანივით, მე მხოლოდ სამსახურში დავდივარ. წავსანსალდეთ რესტორნისაკენ. სასტიკად მინდა კონიაკი.

— თქვენ შეცდით, — ვუთხარი მე ზუსტად იმ ტონით, რანაირსაც ზრდილობის სახელმძღვანელო გვთავაზობს. — ბიჭი, რომელზეც ლაპარაკობთ, აღარ დაგელოდათ, მე კი საქმით ვარ გართული: უნდა დავითვალო რამდენი აგურია ამ პარკის გალავანზე და თვლა განვაგრძე: 52.624, 52.625, 52.626...



# ჩვენი საოჯახო კლუბი

## თავიდან ავიცილოთ ნაადრევი სიბერე

შეიძლება თუ არა თავიდან ავაცილოთ ქალს ნაადრევი სიბერე და გავუხანგრძლივოთ სიცოცხლე?

დიახ, შეიძლება!

ქალის ორგანიზმი ფიზიოლოგიურად არსებითად განსხვავდება მამაკაცის ორგანიზმისაგან ისეთი ფიზიოლოგიური პროცესები, როგორიცაა: მენსტრუაცია, ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის ძუძუთი კვება, კლიმაქტერიული პერიოდი დიდ გავლენას ახდენს ქალის ორგანიზმზე. ამიტომ, ახალგაზრდობისა თუ ხანდაზმულ ასაკში, ქალის შრომისუნარიანობისათვის ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს მისი ორგანიზმის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ფ. ენგელსი ამბობდა „ორგანიზმის სიბერე, რომელსაც საბოლოო ანგარიშში სიკვდილამდე მივყავართ, გარდაუვალ და ფიზიოლოგიურ პროცესად ითვლება და ყოველი ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელია".

განასხვავებენ ნორმალურ-ფიზიოლოგიურსა და პათოლოგიურ სიბერეს.

პირველი მთავრდება ბუნებრივი სიკვდილით; მეორე ხასიათდება ორგანოებსა და ქსოვილებში სიბერითი ცვლილებების ნაადრევი დაწყებით. სიბერის პროცესის დაჩქარებას ხელს უწყობს სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტრავმები, მძიმე განცდები და ინტიმური მიზეზები, სქესობრივი ცხოვრების სიჭარბე, ორსულობის შეწყვეტის მიზნით აბორტის დაუშვებელი ხერხების გამოყენება და სხვა.

ნაადრევი სიბერის ძირითად მიზეზად დიდი რუსი ფიზიოლოგი ი. პავლოვი თვლიდა ნერვული სისტემის უმაღლესი ნაწილის — თავის ტვინის ქერქის ფუნქციურ გამოფიტვას, რასაც სხვადასხვა ორგანოები მიჰყავს დაავადებამდე, რის შედეგად ქვეითდება ნივთიერებათა ცვლის პროცესი.

ორგანიზმში გარკვეულ ფარგლებში ხდება ცილების როგორც ხარისხობრივი, ისე თვისობრივი ცვლილება, თანდათან მცირდება და ქრება მათი აღდგენისა და განახლების პროცესები, იწყება მთელი ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების დაქვეითება, უჯრედებისა და ქსოვილების ცხოველმყოფელობის თანდათანობითი ჩაქრობა. ფსიქოლოგიური განცდები, განსაკუთრებით კი უარყოფითი ემოციები — სევდა, დარდი, შიში, შური, სიძულვილი, სიბრაზე — განსაკუთრებით ასუსტებენ ორგანიზმისა და მისი ნერვული სის-

ტემის ნორმალურ მოქმედებას. ასეთი ემოციები შეიძლება გახდეს მძიმე ნერვულ დაავადებათა, ქალის ორგანიზმის, ენდოკრინული და სასქესო ორგანოების ფუნქციური მოქმედების მოშლისა და ნაადრევი სიბერის დაწყების მიზეზი. დადებითი ემოციები — სიხარული, აღტაცება, სიხალისე სასიკეთოდ მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ხელს უწყობს ჯანმრთელობას და გვაშორებს სიბერეს.

ამიტომ, საჭიროა გავუფრთხილდეთ ნერვულ სისტემას, გავაკაჟოთ იგი და შევინარჩუნოთ მისი მაღალი ტონუსი. მტკიცე ნერვული სისტემა, ჯანსაღი ფსიქიკა, მაღალი მორალური თვისებები და კეთილშობილური აღტკინება დადებითად მოქმედებს ადამიანის საერთო განწყობილებაზე, ააქტივებს მის შემოქმედებით ძალებს, ამტკიცებს ხასიათს, ხდის მას სულიერად მდიდარს და ამით ეხმარება ქალს ნაადრევ სიბერესთან და დაავადებებთან ბრძოლაში.

ზოგიერთი ქალი გულუბრყვილოდ ფიქრობს, ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ნაადრევი სიბერის თავიდან აცილებისათვის მთავარია „დასვენება" და უსაქმურობაო, ეს სწორი არ არის. მუქთახორობა ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლის მტერია.

უამრავი ფაქტი და დაკვირვება ადასტურებს, რომ ფიზიკური და გონებრივი შრომა ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლის გადამწყვეტი ფაქტორია.

თითქმის ასი წლის ასაკს მიაღწია ამ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ა. ა. იაბლოჩკინამ. იგი 1916 წლიდან თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ითვლებოდა საკავშირო თეატრალური საზოგადოების უცვლელ თავმჯდომარედ და აქტიურად მუშაობდა მოსკოვის მცირე აკადემიურ თეატრში.

საქართველოში მცხოვრებ ხანდაზმულ (100 წლისა და ზევით) ქალთა უმრავლესობა (მათი რიცხვი რესპუბლიკაში 1.300-მდეა) შეძლებისდაგვარად შრომობენ ოჯახში, კოლმეურნეობაში, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში, ფერმებში. ისინი მხნედ გამოიყურებიან, არ უჩივიან ავადმყოფობას და სიყვარულით გადასცემენ თავიანთ გამოცდილებას ახალგაზრდებს.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტოულის მცხოვრებმა 128 წლის ხფაფ ლასურიამ ერთ სეზონში 1.700 კგ ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

94 წლის ეფრო მიქავამ 2.000 კგ ჩაის ფოთოლი მოკრიფა 0,1 ჰექტარ ფართობზე.

კეთილშობილურად მოქმედებს ქალის ორგანიზმზე წყნარი ოჯახური ცხოვრება, ბავშვებისა და ახლობლების წრეში ტრიალი. თითქმის ყველა ხანდაზმული ქალი ოჯახის პატრონია, მრავალშვილიანია და მათი ქორწინებითი ცხოვრების ხანგრძლიობა ზოგიერთ შემთხვევაში 90 წელს აღწევს. ამიტომ, სრულიად გაუმართლებელია შიში, თითქოს ორსულობა აჩქარებს სიბერისა და ორგანიზმის გაცვეთის პროცესს.

ქალის სასქესო ჯირკვლები (საკვერცხეები) გამოიმუშავებენ ჰორმონებს, ე. ი. ნივთიერებებს, რომლებიც ამაღლებენ ორგანიზმის ტონუსს, ასტიმულირებენ მთელ მის სასიცოცხლო ფუნქციებს. ამ ჰორმონების უწესო ხარჯვა — სქესობრივი ცხოვრების სიჭარბე, აუძლურებს სასქესო ჯირკვლების ფუნქციას, ასუსტებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს და ხელს უწყობს სხვადასხვა დაავადების წარმოშობას და ქალის ნაადრევ სიბერეს.

ნორმალურ სქესობრივ ცხოვრებას, მის ჰიგიენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქალის ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ვაჟებისა და გოგონების სქესობრივ აღზრდას, რაც ჯერ კიდევ არ დგას სასურველ დონეზე. მშობლები და პედაგოგები იშვიათად ესაუბრებიან მათ ამ თემაზე. ამიტომაა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში ახალგაზრდები სტიქიურად მოქმედებენ. ეს კი ხშირად დამღუპველ გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე.

ნაადრევ სიბერესთან ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფიზკულტურასა და სპორტს. კუნთოვანი სისტემის სისტემატური ვარჯიში ხელს უწყობს სხეულის პროპორციულ განვითარებას და ფორმის სილამაზეს, ტანკენარობას, მსუბუქი პლასტიური მოძრაობების გამომუშავებას.

განსაკუთრებით ფართოდ უნდა დაინერგოს ფიზკულტურული ვარჯიშები წარმოებაში. ვარჯიში ხელს უწყობს ქსოვილებისათვის ჟანგბადის ჭარბ მიწოდებას, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ამცირებს გადაღლას, დაღლილობას, ამაღლებს შრომისუნარიანობას.

ქალებს, რომლებიც სისტემატურად ეწევიან ფიზიკურ ვარჯიშს, ორსულობა და მშობიარობა შედარებით იოლი აქვთ, გართულებები იშვიათია

ორგანიზმს აკაჟებს და დაავადებებისადმი წინააღმდეგობის უნარს აძლიერებს მზისა და ჰაერის აბაზანები, წყლის პროცედურები.

სიმსუქნისაკენ მიდრეკილების მქონე ქალებს ესაჭიროებათ როგორც კვების, ისე ძილის, მუშაობისა და დასვენების ნორმირება. ეს მათ ხელს შეუწყობს იბრძოლონ ნაადრევ მოთენთვასთან.

გაძღომა, ცხოველური ცხიმების ჭარბი მიღება ხელს უწყობს ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის, ჰადაგრისა და სხვა დაავადების განვითარებას.

ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის, ნაადრევი სიბერის ასაცილებლად მრავალი საშუალება არსებობს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მედიკამენტური მკურნალობა საჭიროა სწორად შეუთავსდეს საერთო ჰიგიენურ ღონისძიებებს. არც ერთი სამკურნალო საშუალება არ იქნება ეფექტური, თუ ქალის ცხოვრების რეჟიმი, ნებისყოფა და მისი ლტოლვა შეინარჩუნოს ჯანმრთელობა — ხელს არ უწყობს მას.

დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ყველა ქალს შეუძლია შეანელოს სიბერის პროცესები. ამისათვის კი საჭიროა: გავუფრთხილდეთ და გამოვაწრთოთ ნერვული სისტემა, შევინარჩუნოთ მისი მაღალი ტონუსი, ვიშრომოთ აქტიურად (მაგრამ ნუ გადავიღლებით!), მტკიცედ დავიცვათ პირადი ჰიგიენისა და სქესობრივი ჰიგიენის წესები. ყველაფერი ეს ფიზკულტურულ ვარჯიშთან, ნორმალურ კვებასთან და ძილთან, ორგანიზმის გაკაჟებასთან და სხვა ფაქტორებთან ერთად ხელს შეუწყობს ქალს აიცილოს ნაადრევი სიბერე და გაიხანგრძლივოს სიცოცხლე.

პროფესორი ჯ. ცილოშვილი,
პროფესორი გ. ფიცხელაური.

# თქვენთვის, დიასახლისებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარცხელი და თმის დასავარცხნი ჯაგრისი ქერტლისა და ჭუჭყისაგან რომ გაიწმინდოს, ჩააწყვეთ ღამე წყალში, რომელშიც ჩამატებული იქნება რამდენიმე წვეთი ნიშადურის სპირტი და ერთი მუჭა მსხვილად დანაყილი მარილი.

თუ ხელები დახეთქილი გაქვთ, დაიბანეთ ყავის ნალექით. ხელების კანი რბილი და ელასტიური გახდება.

ნიშადურის სპირტში დასველებული ჩვრით კარგად იწმინდება სადაფის ღილები. თეთრი შუშის ღილები კი ბრწყინვალებას არ დაკარგავს, თუ გარეცხავთ თბილ საპნიან წყალში და შემდეგ ცივ მარილწყალში გაავლებთ.

ფეხსაცმელი მაშინ კი არ უნდა გაწმინდოთ, როცა სახლიდან გამოდიხართ, არამედ მაშინ, როცა ქუჩიდან ბრუნდებით. ღამით ფეხსაცმელს წაუსვით კრემი და ასე დატოვეთ დილამდე — ტყავი დარბილდება და აღარ დასკდება. დილით ფეხსაცმელი შალის ნაჭრით გააპრიალეთ.

კაუჩუკის ფეხსაცმლის ლანჩები სწრაფად ისვრება და ძალიან ულამაზოდ გამოიყურება. კაუჩუკმა რომ დიდხანს შეინარჩუნოს სიახლე, ხანგამოშვებით გაწმინდეთ სკიპიდარით.

თუ მუქ ტანსაცმელზე ქონი დაგეწვეთათ და არავითარი საშუალება ხელთ არა გაქვთ ლაქის გამოსაყვანად, დააყარეთ ლაქას მარილი და ფრთხილად მოსრისეთ. მარილი რამდენჯერმე შეცვალეთ, სანამ ლაქა მთლიანად არ გაქრება.

სველ შუშას რომ ცეცხლი მალე წაეკიდოს, შეგიძლიათ ნავთის მაგივრად ცოტაოდენი ხოშხოშა მარილი მოაყაროთ.

შალის კაბის ან პიჯაკის ოდნავ გაქონილი საყელო კარგად იწმინდება შემთბარ ძმარში დასველებული ბამბით.

ნუ გააშრობთ ხორცსაკეპ მანქანას ცეცხლზე ან ცხელ ღუმელზე — ხორცსაკეპის დანა ბლაგვდება. ხორცსაკეპი მანქანა კარგად გაიწმინდება, თუ შიგ სუფთა ქაღალდს გაატარებთ.

თუ დილით, უზმოზე ერთი ჭიქა პამიდვრის ან ხილის წვენს დალევთ პატარ-პატარა ყლუპებით, ეს მშვენივრად იმოქმედებს საჭმლის მომნელებელ სისტემაზე და ორგანიზმს შესანიშნავად მოამარაგებს ვიტამინებით. ხილ-ბოსტნეულის წვენი ბავშვებსაც მოუხდება და უფროსებსაც.

მოყინულ კარტოფილს რომ მოტკბო გემო გაუქრეს, 5-7 დღით გააჩერეთ 18-20 გრადუს ტემპერატურაზე.

# ბავშვის სულიერი სამყარო

**ლ. ლევინოვა,**
საბავშვო ბაღის აღმზრდელი,
ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი.

ლიამ სკოლაში მისვლისთანავე დაიწყო წუწუნი: „ტანია ხელსა მკრავს, გალია ყოველ წუთში უკან იხედება“. მასწავლებლის შენიშვნაზე გოგონა ტირილს იწყებდა. კალმისტარს დაკარგავდა — ტიროდა, მელანი დაეღვენთებოდა — ისევ ტიროდა...

ზოგიერთ ბავშვს თითქოს ეძინება, დუნედ პასუხობს, ხელიდან უცვივდება ყველაფერი. ზოგი სულ აღგზნებულია, ხმამაღლა ლაპარაკობს, ხელებს იქნევს, მზადაა, რა საქმეც არ უნდა იყოს, ითაოს, მაგრამ ბოლომდე ვერაფერი ვერ მიჰყავს. ზოგი ცუდ ნიშანს რომ მიიღებს, რვეულიდან ფურცელს ამოხევს და ყვირის: „მეტს აღარ დავწერ!“

ბავშვების სხვადასხვაგვარი ქცევა დიდადაა დამოკიდებული ნერვულ სისტემაზე.

ანდროს მამამ გადაწყვიტა, მთელი კვირადღე შვილისთვის დაეთმო. დილით სტადიონზე იყვნენ და ფეხბურთს უყურეს, მერე კინოში შევიდნენ, ამხანაგი მოინახულეს; შინ გვიან დაბრუნდნენ, მაგრამ ანდროს არაფრისგულისთვის არ სურდა დაწოლა: ჯერ არ დავღლილვარო, — არწმუნებდა უფროსებს. გატაცებით ყვებოდა სტადიონის შესახებ და ხმამაღლა იცინოდა.

— ანდრო, დაწექი, — შეახსენა დედამ, — ათი საათია.

— წიგნი რომ უნდა წაგვეკითხა?

— უკვე გვიანაა, არ შეიძლება!

უცბად ანდრო ატირდა. დიდხანს ქვითინებდა და ვერაფრით ვერ დაწყნარდა. რა მოხდა? როდის უკითხავდნენ ანდროს ძილის წინ წიგნს?!

ამის ამოხსნა სულ ადვილია, ბავშვი, რომლის ნერვული სისტემა ჯერ კიდევ არ არის გამტკიცებული, მალე იღლება. ის, თითქოს უმიზეზოდ, იწყებს ტირილს ან უარს ამბობს ჭამასა და ძილზე. ხან კი ხმამაღლა, აღგზნებული ლაპარაკობს, იქნევს ხელებს. ყვირილი და მუქარა ასეთ შემთხვევაში არ გაჭრის. პირიქით, საწინააღმდეგო გავლენასაც მოახდენს, ამიტომ ეცადეთ, დაამშვიდოთ ბავშვი. აანთეთ მკრთალი შუქი, გამორთეთ რადიო, დაალევინეთ წყალი, წყნარი ხმით მოუყევით მისთვის კარგად ნაცნობი ზღაპარი.

ბავშვის ნერვული სისტემის გამტკიცებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კარგ ძილს. ზოგიერთ მშობელს უხარია: „ჩემს ბავშვს ისე ძინავს, რომ იმაზე არაფერი მოქმედებსო: ტელევიზორიც ჩართულია, ჩვენც ვლაპარაკობთ, სინათლეც ანთია, მაგრამ მაინც ძინავს და ძინავს, ისეთი მძინარაა, დილით ძლივს ვაღვიძებთო“. სასიხარულო არაფერია. მართალია, ბავშვს ძინავს, მაგრამ მისი ძილი არასრულფასოვანია.

ბავშვს რომ ღრმად ეძინოს, ამისათვის სამარისებური სიჩუმე სულაც არ არის საჭირო. თუ ბავშვს უკვე დაეძინა, შეგიძლიათ ანთებული დატოვოთ მაგიდის ნათურა, ილაპარაკოთ ხმადაბლა და მშვიდად. მაგრამ როცა პატარა იძინებს, უფროსების ყოველგვარი მოძრაობა და ლაპარაკი მას ხელს უშლის, ამიტომ ცოტა ხნით უნდა გაჩუმდეთ და ბავშვი ჩქარა დაიძინებს.

ბავშვს ღრმად ძინავს სარკმელგაღებულ ოთახში. მაგრამ თუ სარკმლის გაღება არ შეგიძლიათ, ძილის წინ ბინა უნდა გაანიავოთ. რაც მთავარია, ბავშვი უნდა დააწვინოთ ერთსადაიმავე დროს — 8-9 საათზე.

ამის შემდეგ ბავშვი ლოგინიდან დგება მხიარული, სიცოცხლით სავსე, ხალისით იწყებს თავის „სერიოზულ“ ბავშვურ საქმიანობას. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი უხეშად იჭრება ბავშვის სულიერ სამყაროში.

ვასიკო სასეირნოდ წასასვლელად მოემზადა. „პალტო ჩაიცვი“, — ეუბნება მამა. „რა საჭიროა, გარეთ ცხელა“, — შეეპასუხა დედა. „ჩაიცვი!“ — უბრძანებს მამა. ბიჭი ხან იღებს, ხან ისევ კიდებს პალტოს. აღარ იცის, რომელს დაუჯეროს.

საღამოთი ტელევიზორს მიუსხდნენ. „ძილის დროა“, — შეახსენა დედამ. „უყუროს, გენანება?!“ — ჩაერია მამა.

ვასიკო იძულებულია, ხან ერთის სურვილი შეასრულოს, ხან მეორესი. ჯერ პატარაა, მაგრამ ახლავე ცდილობს, იმის მხარეზე დადგეს, ვისი განკარგულებაც მისთვის ხელსაყრელი იქნება. მომავალში ბავშვი აღარ დაუჯერებს არც დედას და აღარც მამას.

ზოგჯერ ასეთ რამეს გაიგონებთ: „ნერვიული ბავშვი გვყავს, ერთ ბეწო რამეზე იფეთქებს, ვერაფრით ვერ დააწყნარებ. ისევ ვცდილობთ, არ გავაღიზიანოთ“. ასეთი ნერვიულობა ბავშვისადმი არასწორი მიდგომის შედეგია.

ერთ ჯანმრთელ, მაგარ გოგონას ვიცნობ. ჯერ 6 წლისაა და მშობლები უკვე მთლად დამონებული ჰყავს. მან კარგად შეისწავლა მათი სუსტი მხარეები. იცის, რომ საკმარისია ატირდეს და დედა ყოველგვარ სულელურ მოთხოვნას შეუსრულებს. ჰოდა, ისიც სარგებლობს ამით. მაგრამ ცრემლები და გათამაშებული ისტერიკები ასუსტებს ნერვულ სისტემას და შემდგომ, გოგონა შეიძლება მართლაც ნერვიული გახდეს.

ამიტომ, ბავშვს მტკიცედ უნდა სჯეროდეს, რომ არც ერთი მისი არაგონივრული მოთხოვნა შესრულებული არ იქნება. მითუმეტეს, თუ ამ მოთხოვნას თან ახლავს ტირილი და მბრძანებლური კილო.

ბავშვი ძალიან შთაბეჭდილებიანია და უფროსების სიტყვები მის სულში გამოძახილს იწვევს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველთვის როდი ვუწევთ ამას ანგარიშს.

დედამ თავისი ბიჭუნა საბავშვო ბაღში მიიყვანა. ბიჭს პალტოს გახდა არ უნდოდა. „შენ თვითონ გაიხადე და საღამოზე კამფეტს მოგიტან“. „ორთქმავალიც მომიტანე“ — უმატებს სლავა. „კარგი, ორთქლმავალსაც მოგიტან“. ბიჭი მორჩილად იხდის. მერე მთელი დღე გახარებული უყვება ამხანაგებს: საღამოზე მანქანას, ორთქლმავალს და გემს მომიტანენო. საღამოს კისრისტეხით გარბის კარისკენ: „მომიტანე?“. „რა უნდა მომეტანა?“ — გაკვირვებულია დედა, რომელსაც დილანდელი შეპირება დავიწყებია. ბავშვი მწარედ ტირის, ვახშამზე უარს ამბობს, დედა კი წუწუნებს: „რა მიზეზიანი ბავშვია!“

თუ ხშირად ბავშვს უფუჭდება გუნება, ტირის, ეს უკვე, ასე ვთქვათ, მისი ქცევის ჩვეულ ნორმად იქცევა. ამიტომ საჭიროა, მას ყოველთვის მართალი ვუთხრათ, შევუსრულოთ დანაპირები.

თუ ბავშვს სუსტი ნერვული სისტემა აქვს, მას უფროსების განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. საუბრის გაღიზიანებული კილო, დაყვირება კიდევ უფრო აღაგზნებს პატარას, მაგრამ არც გამუდმებული შეგონება, თხოვნა, მუდარა და ალერსია საჭირო. ნერვიულ ბავშვს უნდა მიმართოთ მშვიდად, დაბეჯითებით, არ უნდა მისცეთ საშუალება შეგეწინააღმდეგოთ. თუ კი მას რატომღაც მაინც ეძნელება ან უბრალოდ არ სურს თქვენი თხოვნის შესრულება, აუცილებლად უნდა აიძულოთ ხელი მოჰკიდოს მისთვის არასასურველ საქმეს. შესთავაზეთ, რომ საქმეს ერთად გააკეთებთ. ამ შემთხვევაში კარგია, თუ ბავშვს შეექმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს საქმე ძირითადად თითონ გააკეთა.

ექვსი წლის დიმა შთაბეჭდილებიანი ბიჭია, ადვილად ღიზიანდება, მას შენება უყვარს, მაგრამ პატარა მარცხს წონასწორობიდან გამოჰყავს და ხშირად ცრემლებამდე მიდის.

ოთახის იატაკზე დიმა ხიდს აშენებს. მაგრამ მოაჯირი ვერ იქნა და ვერ გააკეთა. საცაა ატირდება. „დიმა, ნუ ნერვიულობ, — ამშვიდებს დედა. — ანდროს სთხოვე და მოგეხმარება“, ალერსიანმა ხმამ გული აუჩუყა ბავშვს, საკუთარი თავი შეეცოდა და ცრემლები წამოცვივდა. „მოიტა, მოგეხმარო“, — უთხრა უფროსმა ძმამ. დიმა გვერდზე გასწია და სწრაფად დაამთავრა ხიდის მშენებლობა. იმის შეგნება, რომ ძმას ყველაფერი შეუძლია და მას კი არა, ბიჭს კიდევ უფრო აღიზიანებს და... ანგრევს ხიდს.

აი, მამა კი სხვაგვარად იქცევა. დიმა მაღალ სახლს აშენებს. რამდენჯერაც დაადგა წვერო, იმდენჯერ გადმოვარდა. ეცადა კუბიკები გამოეცვალა — მაინც ვერ მოახერხა. დიმას ცრემლები მოერია. „აი, აქ კარგი იქნებოდა, წყვილი ცილინდრი დაგვედგა და გადაგვეხურა“, — სხვათაშორის შენიშნა მამამ, დიმამ რჩევა ყურად იღო და მიზანსაც მიაღწია. კენწეროიანი მაღალი სახლი კოხტად აღიმართა იატაკზე. მღელვარება უკვალოდ გაქრა.

თუ ბავშვს ყოველგვარ პირობას შეუქმნით მშვიდი ძილისათვის, ბევრს ასეირნებთ, იქნებით ერთობლივად მომთხოვნი და ოჯახში იქნება მშვიდი, კეთილი განწყობილება, ბავშვის ნერვული სისტემა დაიზოგება.

# ხოლამენი

(ლეგენდა)



შორს, წერტილივით აგორდა შარაგზაზე მომავალი ლაშქარი. თანდათან გაიზარდა, სალაშქრო სიმღერა „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ გრგვინვით გაიშალა ჰაერში. ქედზე გადმომდგარ კახეთის მეფეს სიამის ღიმილმა გაუსხივოსნა სახე, ჭალარა წვერზე ხელი ჩამოისვა და ბრძანა ბრძოლაგადახდილ ლაშქარს წინ შეგებებოდნენ. ოციოდე მხედარი მარდად მოსწყდა ადგილს. ჰაერში დაიცალა თოფები, ხალხის ტალღა ჩაეფინა მთის კალთას და ჩაამუქა. აღტაცებულმა ყიჟინამ გააყრუა მთა და ბარი. ქართველთა მცირერიცხოვანმა ლაშქარმა მტრის მხარეში ბრძოლის დროს მრავალი ქართველი ტყვე გამოიხსნა. დედები, ძმები, დები, შვილები ერთმანეთს არ აცლიდნენ თავისიანების ალერსს. ცრემლსა და სიხარულში არეულიყო ყველაფერი, მოთქმასა, ტირილსა და სიცილში იწურებოდა ჟამი... ყველა ტყვემ იპოვა პატრონი. მხოლოდ ერთი იდგა განმარტოებით, თავი მწუხარებით ჩაეკიდა, ვერხვის ფოთოლივით ათრთოლებულს, სახეზე წაბლისფერი თმა ჩამოსწეწოდა. ყველა წავიდ-წამოვიდა, უცხო ასული კი მეფის ამალის პირისპირ იდგა, მოლაშქრენი სიბრალულით შესცქეროდნენ უთვისტომო ქალიშვილს. აღარ იცოდნენ როგორ მოპყრობოდნენ. სულ პატარა ყოფილა, ლეკებს რომ გაუტაცნიათ. მშობლები არ ახსოვდა. არც ის იცოდა რა გვარისა იყო, ან საქართველოში რა სახელს ეძახოდნენ. მტაცებლებს ერთი მდიდარი სოვდაგრისათვის მიეყიდნათ. უბედურმა ძლივს დააღწია თავი ტყვეობას, ძლივს იხილა მშობლიური მხარე, მაგრამ... ვერავინ იცნო დაკარგული ასული.

— დიდო მეფეო! — გაისმა ხმა ამალიდან. — ნება მომეცით ეს ასული ცოლად შევირთო!

მეფე ცხენზე შემოტრიალდა. მის წინ მშვენიერ ჭაბუკს მუხლი მოეყარა, თვალებში მუდარა გამოსჭვიოდა.

— ნოდარ, შენ?

— დიახ, მეფეო. ცხენზე შემოვისვი თუ არა, გულში ჩამივარდა. ვფიქრობდი, როგორც კი პატრონს ჩავაბარებ, მაშინვე ხელს ვთხოვ-მეთქი. მაგრამ პატრონი არ გამოუჩნდა.

„ვინც სულგრძელობას დაიპყრობს, შერჩება სახელოვნებაო“ — სთქვა მეფემ და ცხენიდან გადმოვიდა. ქალს მიუახლოვდა, თავზე ხელი გადაუსვა, აცრემლებულ თვალებში ჩახედა და შეეკითხა: თანახმა იქნები? ქალს სახეზე ალმური აუვარდა. გადავიწყებულ დედა-ქართულში სანუგეშო სიტყვები იგრძნო, მეფეს მხარზე ემბორა და თანხმობის ნიშნად მუხლი მოიყარა. ნოდარმა ქალის გვერდით ჩაიჩოქა და მეფეს ლოცვა-კურთხევა გამოსთხოვა.

მზე ცაზე ნელ-ნელა გაუჩინარდა. ვარდისფრად ატკეცილ დასავლეთს ბინდი შემოეპარა. სოფლის ორღობეში მეფე თავისი ამალით შემოდიოდა. შუაში ნეფე-დედოფალი ჩაეყენებინათ, ყველა ხარობდა, განსაკუთრებით ქალს უფრთხიალებდა გული და მალულად ქვეშ-ქვეშ გაჰყურებდა საქმროს.

ნოდარის დედას მოულოდნელი მახარობელი მოუვიდა. დატრიალდა გიგაანთ ქვრივი. სოფელი ფეხზე დადგა. ყველას უნდოდა საქმეში ხელი წაეშველებინა. მეზობლისათვის. „მაყრული“ ახლა სოფლის თავში გაისმა და ცხენების თქარა-თქურში აირია. გიგაანთ ქვრივი საპატარძლოს ბადაგით სავსე ჯამით გამოეგება, ორივეს შეასვა, შემდეგ გადაკოცნა და დედის მხურვალე გულით დალოცა. სადედამთილომ მთვარის შუქზე კეთილი თვალით შეხედა საპატარძლოს: „თუ საქმეშიც ასეთი შნო და ლაზათი გამოიჩინა, კარგი ბედი მოგვდგომია კარზეო“, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მაინც დასძლია და ოთახში შევიდა, რომ კვარის შუქზე უფრო კარგად გაესინჯა ქალი რაც უფრო მეტს აკვირდებოდა საპატარძლოს, თვალგამჭრიახი ქვრივი, იმდენად უფრო ელრუბლებოდა სახე. გულის ცახცახით მისჩერებოდა მორცხვად თავდახრილ ქალს, თითქოს უნდოდა მისი ყოველი ნაკვთი, სხეულის ყოველი ნაწილი გაეზომ-აეწონა, დაჰკვირვებოდა. მისი უცნაური საქციელი ბევრს არ გამოჰპარვია, მათაც ყურადღებით დაუწყეს ქალს თვალიერება, მაგრამ მის უმანკო სახეს მანკიერება ვერა შენიშნეს რა. ალბათ შვილის სიყვარულის გამყოფს ვერ შეგუებიაო, გაიფიქრა ზოგიერთმა და ქვრივს დამშვი-

დება დაუწყეს. სახელდახელოდ მოყვანილმა მღვდელმა ჯვარი იქვე გადასწერა ნეფე-დედოფალს, საკმელი უკმია და ახლა ხალხი მიაწყდა მისალოცად. მეფის ბრძანებით მემუსიკენი ახმიანდნენ. თეთრ ჩოხა-ახალუხში და ვერცხლის ქამარ-ხანჯალში ჩამჯდარმა ხელისმომკიდემ ჯერ პატარძალი აცეკვა და შემდეგ ნეფე შეინაცვლა. ნოდარის დედას ადამიანის ფერი აღარ ედო, შეშლილი თვალებით მისჩერებოდა ბედნიერთა ცეკვას, დუდუკის ტკბილ დუდუნში ხან წინ რომ მისრიალებდნენ, ხან კი თითის წვერებზე შემდგარნი ნელ-ნელა უკან იხევდნენ. ქალი სავსე მთვარესავით მიცურავდა, სახეალეწილი ვაჟი კი უკან მისდევდა, თვალებში ჩაჰყურებდა, თითქოს უნდოდა გამოეცნო ქალის იდუმალი ნატვრა, რომ თავდავიწყებულ რაინდს უმალ შეესრულებინა, თან ცდილობდა ჩოხის კალთითაც კი არ შეხებოდა ქალის თოვლისფერ კაბას. აი, მისუსტდა დუდუკის ხმა — ძლივსღა სუნთქავდნენ ტკბილი ბგერები, მთვრალივით ბარბაცებდა მედოლის ხელები. კვარის შუქიც ხან წითლად და ხან ზაფრანისფრად ელვარებს, მოცეკვავეებმა შეანელეს ნავარდი, ტრფობით მოიღერეს ყელი, აი, საცაა ერთმანეთს მიუახლოვდება ეს ორი ალვა ტანი, სიყვარულით ათრთოლებული, მაგრამ უცბად დოლი მძლავრად ახმიანდა, დუდუკმაც დასძახა, ქალ-ვაჟი შეკრთა, გამოფხიზლდა, კიდევ ერთხელ დაუარა წრე და, — უცბად გიგაანთ ქვრივის შემზარავი კივილი გაისმა. საპატარძლომ ცეკვას რომ მიუყუჩა, ხელები დაუშვა, შემდეგ მუსიკის ხმამაღალ რიტმზე ისევ ლაღად გაშალა, გაშლილი ხელის მტევანი ქვრივის თვალწინ მთელი სიცხადით აილანდა. ქვრივი ხარბად მიაჩერდა ნეკა თითს და იკივლა. საპატარძლოს ნეკა თითზე ფრჩხილი წაძრობილი ჰქონდა. „ეგ ხომ დაა შენი!!“ — საცოდავად შებღავლა ნოდარს და გული წაუვიდა. გიგაანთ ქვრივის ოჯახში ქორწილი შეწყდა...

— ეს დიდიხნის წინათ მოხდა, შვილებო. ჯერ თქვენ ორი წლისანიც არ იყავით, ტყუპად შემეძინეთ, სულ ერთად დამყავდით; ერთხელ ცხონებულ მამათქვენთან სამხარი რომ მიმქონდა, თავს ლეკები დამეცნენ და ორივე მომტაცეს, ჩემს ყვირილზე მაშინვე გაჩნდა მდევარი, ენა ჩამივარდა, ხელებს უაზროდ ვასავსავებდი, ძლივს გავაგებინე რომელ მხარეს გაგიტაცეს, დაგედევნენ, ნოდარი ხელიდან გააგდებინეს. შენ კი ველარ გიპოვეთ, მამაშენმა დიდი გამოსასყიდი გაიღო, გეძებეთ, მაგრამ ველარ დაგიბრუნეთ. სახელად ნინო გერქვა. ერთხელ შენს აკვანს ღორი შესდგომოდა და ნეკა თითი მოეღეჭა. საზარლად ჩხაოდი, გაოგნებული მოვიჭერი შენთან. თითი შეგიხვიე და გულში ჩაგიკარი. როცა შენი თავი მომტაცეს, ეს ნიშანი მაიმედებდა, ვიპოვი-მეთქი ვამბობდი. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა. გულში ჩავიმარხე დარდი და მთელი სიყვარული ნოდარის გაზრდას გადავალიე. ქმარი მომიკვდა, ობლობაში გამოვზარდე ჩემი ნოდარი, შენი ამბავი დავუმალე, რომ არ ედარდნა. ბედს შევურიგდი, ნიშანი კი მახსოვდა და მუდამ თვალწინ მედგა. აკი ამ ნიშნით გიცანი კიდეც, შვილო. — დაასრულა ამბის თხრობა გიგაანთ ქვრივმა და ორივე შვილი გულში ჩაიკრა.

მას შემდეგ სოფელ „გიგაანთ კარს“ „ხო დაა შენი“ შეარქვეს. ახლა კი უბრალოდ ხოდაშენს ეძახიან.

ასეთია ამ სოფლის ნაღვლიანი ლეგენდა.

**ნუნუ მესხი**

ალ. [illegible]

ბიბლიოთეკა

# გამოცანები

უსასრულო ერთი რამე, სულ წინ მიქრის დღე და ღამე.
**(დრო)**

ნაშვილევია ხისა, — აბა რა არის ისა?
**(ნამყენი)**

ზოგი რკინის, ზოგი ხისა, ქვევით წყალი, ზევით ისა.
**(ხიდი)**

კაცის მოკეთე მწეოია, ოღონდ თავისი მტერია.
**(აბრეშუმის ჭია)**

არც ხურმაა და არც გუნდა, სახრამუნოდ ის ღორს უნდა.
**(რკო)**

ფრთაფარფატა და პაწია, ჭრელი კაბა ტანს აცვია.
**(პეპელა)**

ახალგაზრდა გვესტუმრება, მოხუცი კი მიდის, საყვარელი
სტუმარია პატარის და დიდის.
**(ახალი წელი)**

გარეკანის პირველ გვერდზე — „რევოლუცია“. მხატვარი დ. ბაშელეიშვილი.
გარეკანის მეოთხე გვერდზე — „ზამთარი“. ფოტო ბ. პოკროვსკისა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჭავახიშვილი.
ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/I, 1967 წ. ქაღალდის ზომა 60×92, ტირაჟი 100.000, შეკვ. № 4307 უე 01936. ფასი 80 კაპ.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».
Издательство ЦК КП Грузии.

# საქართველოს მთა-ბარი

მუსიკა ჯ. ადამაშვილისა.

ტექსტი ა. აბულაშვილისა.

Moderato.



1) მწვანე, მწვანე, უმწვანესი
საქართველოს მთა-ბარი.
და შრიალებს მუხა, თელა,
ალვისხე თუ ჭადარი.
ცად წასულნი დგანან, როგორც
აშოლტილი ბიჭები,
ოქროს წვიმით განბანილნი
ნაძვები თუ ფიჭვები.

მისამღერი: უქრობ შუქად ილვრებიან
ჩვენი დიდი დღეები,
გუგუნებენ, შრიალებენ
საქართველოს ტყეები.

2) ყველა ხანძარს გადავურჩით,
მტრის სისხლიან მახვილსა;
და ტყე იდგა მრავალ ას წელს,
როგორც ფარი ხალხისა.
როგორც ციხე, ვინაც ბევრჯერ
მომხდურის გზა დანისლა,
და ებრძოდა მტერი ტყესაც
დიდგორთან თუ კრწანისთან.

მისამღერი: დღეს სხვა შუქი დააფრქვიეს
ჩვენმა დიდმა დღეებმა,
დაე, მარად იშრიალონ
საქართველოს ტყეებმა.

ნ60/42

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76178

